საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 27 სექტემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სანეკროლოგიო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისიათ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 219 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 219

გულდამწვარი შვილის-შვილები: ლუკა, ნინა, ბაბო, თამარა; შვილი ეფრემ და რძალი ბაბალე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი დიდედასი და დედის

ეფემია ბრეგვაძის

გარდაცვალებას ამა თვის 25-ს პანაშვიდი პარასკევს 26 ს და შაბათს 27-ს საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე: პრიუტის ქუჩა № 25. გამოსვენება კვირას 28 ენკენისთვეს დილის 10 საათზე კალოუბნის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე დღეს კუკიის სასაფლაოზე. (2—1)

გულ დამწვარი მშობლები მართა იობას ასული და სიმონ ტიმოთეს ძე მანჯავიძენი შვილებით, სიძეებით, რძლით და შვილიშვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 28 ენკენისთვეს (ახალი სტილით) შესრულდა მათი დაუვიწყარი შვილის

ლიუდმილა (ლუნ) სიმონის ასულის მანჯავიძის

გარდაცვალებიდან წლის თავი, რისთვისაც დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი კვირას, 28 ენკენისთვეს, ქ. ხაშურში. მახარობლის ეკლესიაში. 1—1

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ

ვ. რუხაძის ლექსები

„ცხოვრების ყვავილები“

წიგნი მესამე—გამოცემა კანტორა „განათლებისა“. ფასი 25 მანეთი. გასაყიდათ დაურიგდა „განათლების აგენტებს. (6—1)

ახალი ფრაქციები დამფუძნებელ კრებაში.

დამატებითი არჩევნების შედეგები უკვე გამოირკვა. დამფუძნებელ კრების შემადგენლობაში დღეიდან რამდენიმე ახალი ნაკადი შედის. მის ოთხს ძველს ფრაქციას ემატება ორი ახალი სამ დეპუტატისაგან შემდგარი „დაშნაკციუთიუნის“ ფრაქცია და ერთ დეპუტატისაგან შემდგარი—„ეროვნულ პარტიის“ ფრაქცია. სოციალდემოკრატიულ ფრაქციის ძლიერებას დამფუძნებელ კრებაში, რა თქმა უნდა, არავითარი საფრთხე არ მოელის: 130 ადგილიდან მის განკარგულებაში 105 ადგილი რჩება, ისე რომ, დამფუძნებელ კრების ყოველი ნაბიჯი წინანდებურად სავსებით მის გადაწყვეტილებაზე იქნება დამყარებული. ახლად დაარსებული ფრაქციები რიცხვით სრულიად უმნიშვნელოა. მიუხედავად ყველა ამისა, ის მცირედი ცვლილება, რომელიც დამფუძნებელ კრების შემადგენლობაში ხდება, თავის ბეჭედს დაასვამს მის მუშაობს.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ორივე ახალი პარტია, რომელიც დამფუძნებელ კრებაში თავის წარმომადგენლებს გზავნის, შეურიგებელ ოპოზიციაში არიან ხელმძღვანელ პარტიასთან. შეიძლება ითქვას, რომ არა-ქართულ პარტიებში ჩვენს მმართველ პარტიას არ ყავს სხვა ისეთი მოძულე, როგორიც „დაშნაკცუთიუნია“, და ქართულ პარტიებს შორისაც არ მოიპოვება სხვა, ისე გაბოროტებული სოციალდემოკრატიაზე, როგორიც არის „ეროვნული“ პარტია. დაშნაკცუთიუნი გამომხატველია იმ უკმაყოფილებისა, რომლითაც გამსჭვალულია სომხის ბურჟუაზია, რომელიც რევოლიუციამდის თფილისში იყო გამეფებული, როგორც თავის სატახტო ქალაქში, და რომელსაც რევოლიუციამ ხელიდან გამოაცალა ეს ბატონ-პატრონობა. „ეროვნულ“ პარტიის უკმაყოფილება—მემამულეთა კლასისა, რომელსაც რევოლიუციამ წაართვა უზრუნველ ცხოვრების და კეთილდღეობის წყარო. ადვილი ასახსნელია ორი პარტიის მძულვარება და შეურიგებლობა იმ პარტიის მიმართ, რომელიც რევოლიუციას უდგია სათავეში. ადვილი ასახსნელია ისიც, რომ მათი მტრობა მიმართულია არა მარტო სოციალდემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ, არამედ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რადგან ეს სახელმწიფო შექმნილია რევოლიუციის სათავეში მდგომ პარტიის მიერ, როგორც იარაღი რევოლიუციის განმტკიცებისა, და გაბატონებულ კლასების მესვეურთ ესმით, რომ რევოლიუციის წინსვლის შესაჩერებლად და მის მიერ წართმეულ კეთილდღეობის დასაბრუნებლად საუკეთესო საშუალებაა ამ იარაღის გამოგლეჯა სოციალდემოკრატიის ხელიდან.

დღემდის ეს ორი პარტია ფართო პოლიტიკის გარეშე იდგა და თავის მუშაობას ჩვენი სახელმწიფოს დასანგრევად აწარმოებდა პრესის, დიპლომატიურ ინტრიგების, ჩუმი აგიტაციის და დემაგოგიის საშუალებით. დღეიდან მათი წარმომადგენლები საპარლამენტო გზით დაიწყებენ მოქმედებას. უეჭველია, მათი საპარლამენტო ტაქტიკა იქით იქნება მიმართული, რომ დასცენ დამფუძნებელი კრების ავტორიტეტი, როგორც ხალხის, ისე მეტადრე უცხოელ სახელმწიფოთა თვალში. უეჭველია, ეს ორივე პარტია პარლამენტში გადმოიტანს იმ სამოქმედო მეთოდებს, რომელსაც პრესაში ხმარობენ. „დაშნაკცუთიუნის“ ფრაქციაში შედიან ისევ ის პირები, რომლებიც საქართველოს პარლამენტში გაგზავნა ამ პარტიამ; და ჩვენ გვახსოვს ის არა-პარლამენტარული, უკულტურო საქციელი, რომელიც ჩაიდინა ერთმა მათგანმა პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე. მას აქეთ „დაშნაკცუთიუნის“ გაბოროტება ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ სრულებითაც არ შემცირებულა.

ამნაირად, ჩვენს დამფუძნებელ კრებას სიფრთხილე და სიმტკიცე დასჭირდება, რომ მოსპოს ახლად შესულ ფრაქციების ყოველივე ისეთი ნაბიჯი, რომელიც მის პრესტიჟის დაცემისაკენ იქნება მიმართული.

ახალი პარტიების წარმომადგენელთა შესვლა დამფუძნებელ კრებაში ჩვენ მიგვაჩნია სასურველ მოვლენად. ის პოლიტიკა, რომელსაც ეს მტრულად განწყობილი პარტიები უჩინრად აწარმოებდნენ, ეხლა დღის სინათლეზე, ფართო გზაზე გამოვა. მათი წარმომადგენლები საქვეყნოთ გამოჰფენენ მთელს თავის პოლიტიკურს და ზნეობრივს ავლა-დიდებას. ჩვენი პარტია პირის-პირ წარუდგება თავის მტრებს, რომლებიც აქამდის ძნელად ხელჩასაკიდებელნი იყვნენ, მთელი ქალხი მოწმე და მსაჯული გახდება მათ შორის დავისა. და ჩვენ არა გვგონია ამ პირის-პირ წაყენებით „დაშნაკცუთიუნმა“ ან „დამოუკიდებლობამ“ მოიგონ რამე და სოციალ-დემოკრატიამ წააგოს რამე.

კიდევ სანიტარულ გადასახადზე

ვაჭარ-მრეწველთა საბჭო არ ცხრება. დაწყებულ კამპანიას მედგრათ განაგრძობს და მოვალეობის ასრულებას მარდათ გაურბის. დემოკრატიამ უკვე გადაიხადა პირდაპირი სანიტარული გადასახადი. არაპირდაპირს—ყოველ დღე იხდის სხვის მაგიერ საქონელზე დამატებული ფასების სახით. ვაჭარ-მრეწველნი კი ისევ კამათს და შუამდგომლობას უნდებიან. ჯერ შეეცადნენ მუშების მიმხრობას და ასე თავის განთავისუფლებას, როცა ამან არ გასჭრა, წარმოების და ვაჭრობის შეწყვეტით დაიმუქრნენ. როცა არც ამან გასჭრა—ახლა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს სთხოვენ შუამდგომლობის აღძვრას დამფუძნებელი კრების წინაშე, რათა გადასახადის რაოდენობა შემცირებულ იქნას 50 პროც. („საქართველო“ № 208).

ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს არ შეიძლება ქონდეს ამ შემთხვევაში დიდი იმედი დამფ. კრების. მარა მათ უნდათ დრო მოიგონ, გაახანგრძლივონ გადახდა და ნელ-ნელა აიღონ მომხმარებლიდან ფასების დამატებით ერთი ორათ მეტი და ასე, ეს გადასახადი გამდიდრების ახალ წყაროთ გამოიყენონ. რომ ეს ასეა, ამტკიცებს ის წერილები, რომელიც ყოველ დღე მოსდის ჩვენს რედაქციას.

ვსარგებლობთ ზოგიერთი ცნობებით. სასტუმრო „სევ. ნომრებს“ შეეწერეს წლის გადასახადი 16,000 მ. სასტუმროს პატრონს მდგმურებზე გაუწერია—ოთახზე თითო მანეთი დღეში. სულ ყოფილა 85 ოთახი. ეს ადგენს თვეში—2500 მ., წელიწადში—30,600 მ. სასტუმროს პატრონი იღებს—14.600 მან. მეორე სასტუმროში ელექტრონის ერთი „ლამპოჩკა“ ღამეში ღირებულა 3 მ. გაუხდიათ შვიდ მანეთად. თვითეული ოთახი (უმეტესათ ორ ლამპიანია) პატრონს აძლევს ზედმეტს თვეში—240 მ. ასე ხდება სხვა დარგებშიაც. წვერის გაპარსვა—ღირდა ექვსი მანეთი, გახდა—10 მ. პურის შესახებ უკვე იყო ვრცელი წერილი ტრეიმანის „ბორბალში“, სადაც უტყუარი ციფრებით არის დამტკიცებული, რომ ეს გადასახადი მეპურეებს აძლევს მილიონ ნახევარს ზედმეტს. ასეა ყველა სანოვაგეზე. შეგვეძლო გაგვეგრძელებია ციფრის მოყვანა, მარა ვფიქრობთ, მოყვანილიც საკმარისია იმის დასამტკიცებლათ, თუ როგორ ისარგებლეს ვაჭარ-მრეწველებმა ახალი გადასახადით თავის გაუმაძღარი ჯიბის გასავსებათ და რა მძიმე ტვირთათ დააწვა ეს გადასახადი მომხმარებელს, რომლის დიდმა ნაწილმა პირდაპირათ უკვე გადაიხადა (ჯამაგირებში გამოკლებით) ხოლო არა პირდაპირათ ახლა სხვის გადასახადს იხდის და ისიც, რამდენჯერმე გადიდებულს.

თვითმართველობამ [illegible] არ გამოეწვია ფასების გადიდება; დანიშნა კიდეც სპეციალური პირები, მაგრამ, როგორც სჩანს, მიზანს ვერ აღწევს და სპეკულიაციით დამთვრალ ვაჭრების მადა ვერ შეკვეცა, მომხმარებელი იზნიქება მისი და სხვის გადასახადის სიმძიმით. ვაჭართა საბჭო კი დამფ. კრებას ემუდარება—დაგვიკელით, თორემ ვაჭრობა დაიღუპება და რესპუბლიკას შემოსავალი დააკლდებაო.

ჩვენ ვაქცევთ ამ გარემოებას სერიოზულ ყურადღებას, ვისაც ჯერ არს და ვიმედოვნებთ, რომ მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები, რათა ვაჭრების გადასახადი არ იქნას გადახდილი დემოკრატიის ისედაც ცალიერი ჯიბიდან.

განი.

პრესა

„საქართველო“ გუშინდელ მეთაურში ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების საკითხს ეხება და, რასაკვირველია, ბრალს ჩვენს დღევანდელ საწარმოო ჩამორჩენაში სოციალისტურ მთავრობას სდებს. მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივია ამ გაზეთის მხრივ, ამიტომ ჩვენ მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას იმ ზომებზე, რომელზედაც გაზეთი უთითებს:

„მაგრამ ასეთი მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი არ არის. საჭიროა მხოლოდ ენერგიული მუშაობა საღი ურთიერთობის აღსადგენად. ეს უნდა იყოს ჩვენი ახალი პოლიტიკის მთავარი შინაარსი.

„ხელი მოვკიდოთ შრომას, მუშაობას.

„უკუ ვაგდოთ უშრომლად გამდიდრების და გაბედნიერების იმედები!

„გავაჩაღოთ წარმოება სოფლად და ქალაქად, შევუდგეთ საქონლის დამუშავებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩვენი საშიში ეკონომიური მდგომარეობის გამოკეთება. სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს

„ჩვენი პოლიტიკა კი ისევ ძველს გზას მიყვება. ამაშია ჩვენი მდგომარეობის საშიშროება. სოციალისტურმა გერმანიის მთავრობამ გაფიცვისათვის მძიმე სასჯელი შემოიღო. შრომას ხელი მოჰკიდეთ!—თავის პოლიტიკას დევიზად გაიხადა. ასევე იქცევა ევროპის სხვა სახელმწიფონი. ამ გზით უნდათ მათ თავისი ხალხის შერყეული ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება.

„ჩვენში კი გრძელდება დემაგოგია, სიტყვების რახა-რუხით ხალხის აბედნიერება. მაგრამ როდემდის? ქვეყანა გაღატაკდა, ეკონომიური კატასტროფა კარზეა მომდგარი, დროა გონს მოვიდეთ, გვეშინოდეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის“.

უკუვაგდოთ უშრომლათ გამდიდრების იმედები!—გაიძახის გაზეთი. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ვინ მდიდრდება უშრომლათ? მუშა, რომელსაც შრომის ოფლი სდის, ხელფასი კი მცირე აქვს, თუ სპეკულიანტი, რომელიც წარმოებას გაურბის და მოგებას სასპეკულიაციო მოქმედებაში ეძებს? ვინ უნდა დასტოვოს თავის ძველი გზა? ვინ უნდა გააჩაღოს წარმოება სოფლად და ქალაქათ? მუშებმა თუ კაპიტალისტებმა, რომელთაც თქვენ ენათესავებით? გაფიცვები გვიშლიან ხელს წარმოების მოწყობაში, შემოიღეთ გაფიცვისთვის მძიმე სასჯელიო,—გვირჩევს გაზეთი. მაგრამ უნდა აქაც მოვახსენოთ ამ უმადურთ და დაბრმავებულთ, რომ მუშათა კლასმა ყოველი საშუალება მიიღო შრომის და ხელფასის საკითხის მოსაგვარებლათ, მთავრობამ და პროფესიონალურმა კავშირებმა დიდი ამაგი დასდვეს ამ მხრივ მომრიგებელ კამერის, შრომის პალატის და სხვა რეგულიატორების დაარსებით.

არაფერი უქნა მხოლოდ ვაჭარ-მრეწველებს, რომელნიც მაინც სპეკულიაციის ციებ-ცხელებას რჩებიან, ვინემ ქვეყნის სიმდიდრის შექმნას და „საქართველოს“ რომ მართლა ჩვენი ქვეყნის წარმატებისთვის შესტკიოდეს გული, აქეთკენ უნდა მიემართა თავის მათრახები. მაგრამ ეს ხომ თავისიანების გამათრახება იქნებოდა!

დაშნაკელების გაზეთი „ნორ აშხატავორი“ კვლავ განაგრძობს ლვარძლიანი წერილების თხზვას. ამ გაზეთის თანამოაზრეებს აშკარათ აბრალებენ ახალქალაქის მაზრაში თათარ-სომეხთა ჟლეტის მოწყობას, მათი ჯარისაგან მაზრის კრიტიკულ მომენტში მოულოდნელათ მუხანათურათ დაცლას, ერთი სიტყვით ისეთ რამეს, რაც ყოველ ადამიანს აღაშფოთებს და აღელვებს. უჩვენებდენ მასაც, რომ ამ ბოროტ-მოქმედებით დაუსრულებელმა რგოლმა აუცრუვა თვით სომხის ხალხს გული დაშნაკელებზე და მან თავის ხმები მისცა სხვა პარტიებს. „ნორ აშხატავორი“ კი გვერდს უვლის თავის ბოროტ მოქმედებას, კრინტს არ სძრავს ამის გამო და ლობე-ყორეს ედება, თქვენ ციფრებზე ლაპარაკობთ, როცა ხალხი შიმშილით წყდებაო.

„ნორ აშხატავორი“ მე 201 ნომერში სწერს თავის მოწინავეში:

„იმ დროს, როცა ნადგურდება ჯავახეთის სომხობა, სოც.-დემოკრატიული გაზ. „ერთობა“ და ნაც.-დემოკრატიული გაზ. „ობნოვლენიე“. დინჯათ გართულნი არიან არითმეტიკულ რიცხვებით და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ დამფ. კრ. არჩევნების დროს ადგილობრივი მოსახლეობამ სოციალ-დემოკრატებს მისცა 13 ათასი ხმა, დაშნაკელებს კი 8 ათასი ხმა, და ამით თავისი პასუხი მისცა, ვისია ის მხარე საქართველოსი თუ სომხეთისა. „ამ ბრძოლაში ბრწყინვალეთ გაიმარჯვა საქართველოს მთავრობის პარტიამო“—კვეხულობს „ერთობა“. ძალიან კარგი.

„ახლა განაგრძობს იგივე გაზეთი შევეკითხოთ, თუ ვის ეკუთვნის მაზრაო და ვის შესტკივა გული მისთვისო:—ცხადია, რომ საქართველოსაო“...

„ასე მთავრობის პარტიის ორგანო ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობას, გული ძალიან უნდა შესტკიოდეს ახალქალაქისთვისო. დავტოვოთ ერთი მხრით „ერთობის“ ლოღიკას უაზრობა. ჩვენ გვინდოდა გაგვეგო, თუ რაში გამოიხატება მთავრობის ეს გულისტკივილი?“

ჩვენ არ გვეკვირვის, რომ დაშნაკელები გულდამწვარი არიან. არც ის გვიკვირს, რომ ბრალდებას, მათდამი წაყენებულს გვერდს უვლიან. ასეთი ბოროტება, როგორც თათარ-სომეხთა ჟლეტაა, მათ პირველათ ხომ არ მოუწყვიათ? ეს მათთვის ჩვეულებრივი საქმეა.

მაგრამ რომ კიდევ გაიძახიან უტიფრათ, საქართველოს მთავრობამ ახალქალაქისთვის არაფერი გაუკეთებია,—ხოლო ჩვენ ბევრი გავაკეთეთო, ნუ თუ ჰგონიათ, რომ ამ აშკარა ტყუილს გასავალი ექნება კიდევ ჩვენში ან სხვაგან? ტყუილი ანგარიშია.

დაშნაკელების სიავე ყოველგან ცნობილია. მათი კავშირი დენიკინის ლაშქართან დღეს უკვე ფაქტია, მათი დამღუპველი პოლიტიკა თვით სომხის ხალხმაც შეიგნო. და ამიერიდან რამდენიც უნდა ილანძღონ, დაკარგულ გავლენას ველარ დაიბრუნებენ. მათი მაუზერების დრო წავიდა!

უკანასკნელი ცნობები

აჯანყება მთაში.

პეტროვსკის რაზმის შტაბის ცნობა: რკინის გზის ხაზზე სადგ. კაიაკენტთან აჯანყებულებმა აფეთქეს ლიანდაგს და ტელეფონის ქსელს.

თემირ ხან-შურის მიმართულებით აჯანყებული რაზმები აქტივობას არ იჩენენ.

ერთ კერძო წერილში შემდეგი სწერია: „მთელ დაღესტანში და უმთავრესად კასუმ-კენტის მაზრაში ბრძოლებია. დენიკინის ყაზახები მოითხოვდნენ კურინის მაზრის მცხოვრებთაგან ჯარს და დაადეს მათ აუტანელი გადასახადები და კონტრიბუცია. მათ წაიყვანეს რამოდენიმე ასეული საქონლისა ფას გადაუხდელად. ბოლოს მცხოვრებთა მოთმინების ფიალა აივსო და ვისაც შეეძლო, იარაღს მოჰკიდა ხელი და გაემართა კასუმ-კენტისაკენ, სადაც იყო 150 კაცი მოხალისეთა ჯარიდან. იქ ყაზახები, რომელთა შორის აფიცრებიც იყვნენ [illegible] ტყვიისმფრქვეველი, დერბენტიდან მოხალისეებს ერთი ეშელონი მიეშველა. მაგრამ გზაში დახვდნენ მთიელები და ისინიც ერთიანად ამოხოცეს. ამას გარდა შეტევა მზადდება დერბენტზე (წერილი დაწერილია დერბენტის აღებამდე) და ალბად ის ამ დღეებში იქნება აღებული. კურინის მაზრის გარდა, სხვა მაზრებიც აჯანყდა. აქამდე მათ ხელთ იგდეს 12 ზარბაზანი და მრავალი სამხედრო მოწყობილობა. ყაზახები ყველგან მარცხდებიან, აჯანყებული თავისუფლების მოყვარული ხალხი მიისწრაფის თავისუფლებისა და სამართლიანობისაკენ. ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ ქ. თემირ-ხან შურაც აუღიათ აჯანყებულებს.“

ადერბეიჯანის მთავრობის ნოტა.

22 სექტემბერს ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნოტა გაუგზავნა სომხეთის საგ. საქ. მინისტრს. ნოტაში აღნიშნულია, რომ 1918 წლის იანვრიდან დაწყებული ერევნის გუბერნიაში სომხებმა სამასამდე მუსულმანთა სოფლები გაანადგურეს. მოკავშირეთა შემოსვლისათანავე ადერბეიჯანს იმედი მიეცა, რომ სომხეთის მთავრობა შეეცდებოდა მშვიდობიანობის ჩამოგდებას. ოსმალთა წასვლის შემდეგ ერევნის გუბერნიაში სასუნის პოლკმა იარაღი აჰყარა კარხაჩის და გედი-ჩაის მცხოვრებთ, გაანადგურა სოფელი კადილუ შაგაბლუ, კარახაჩი, დოხნარი, კარაბაკლიარი, აგას ბეკლი. ამ სოფლების მცხოვრები თითქმის ყველა ამოსწყვიტეს. ასეთივე დღე დააყენეს მილიდარასის რაიონის მცხოვრებთ. ამავე დროს სომხის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ზანგეზურის რაიონს, ახალბაიაზეთის მაზრას და ამოწყვიტეს მუსულმანობა. დიდკაცები დაუპატიმრეს და სხვა. ამ ფაქტების შემდეგ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა დეპეშა პარიზში მყოფ სომხეთის დელეგაციას, სადაც ის აღნიშნავდა იმ საფრთხეს, რომელსაც უმზადებდენ სომხებს მუსულმანები. თანახმად ტიგრანიანის დეპეშისა, სომხეთის დელეგაციამ შეადგინა მემორანდუმი, რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალ „დე დება“-ში. ადერბეიჯანის მთავრობამ არა ერთხელ გაუგზავნა ნოტები სომხეთის მთავრობას. უკანასკნელი არავითარ ზომებს არ იღებდა მუსულმან მცხოვრებთა დასაცავად. მუსულმანთა ჟლეტამ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ თვით სომხეთის პარლამენტის წევრებმა სახელდობრ — სოციალისტ-რევოლიუციონერებმა შეიტანეს შეკითხვა სადაც ჩამოთვლილი იყო რა მუსულმანთა სოფლების განადგურება, აღნიშნავდნენ, რომ ადმინისტრაცია არამც თუ ხელს არ უშლის მუსულმანთა ჟლეტას და დარბევას—პირიქით მონაწილეობასაც იღებს ამ სიმხეცეში, ნოტის დასასრულს ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნავს, რომ ყველა ამ დარბევის და მუსულმანთა ჟლეტის პასუხისმგებელი არის სომხეთის მთავრობა. მინისტრი იმედს გამოსთქვამს, რომ იმ ძალმომრეობას, რომელსაც დღეს ადგილი აქვს ერევნის გუბერნიაში ბოლო მოეღება.

ადესაში.

სამხედრო საველე სასამართლოს დადგენილებით ადესაში დახვრიტეს ბოლშევიკური კომისრები კიულმანსონი და ალექსეევი.

ვიქტორ თევზაიას მოხსენებიდან

ამ დღეებში თფილისში ჩამოვიდა უკრაინაში საქართველოს წარმომადგენლათ მყოფი ამხ. ვ. თევზაია, რომელმაც გუშინ წინ უკრაინის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა დამფ. კრების სოც. დემოკრატიულ ფრაქციაში. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები მოხსენებიდან:

„ეს ერთი წელიწადია, რაც უკრაინაში ვარ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ საყურადღებო ამბები დატრიალდა. მოხდა ოთხი პოლიტიკური რევოლიუცია; დაიწყო გეტმანის მთავრობით და დასრულდა ნაწილად მოხალისეთა ბატონობით.

[illegible] გერმანელთა ჯარის მიერ. გეტმანის მთავრობის შექმნას ხელი შეუწყო უკრაინის გლეხობის ნაწილმა. ეს შემდეგი გარემოებით აიხსნება: უკრაინაში, როგორც იცით, მართვა-გამგეობა ხელში ჰქონდა რადას, რომელშიაც უმრავლესობა სოც.-რევოლიუციონერები იყვნენ. რადამ მიიღო ცხოვრებაში მიწის სოციალიზაცია და მის გატარებას შეუდგა. უკრაინაში დაახლოვებით ისეთი წვრილი მიწათმფლობელობაა, როგორც ჩვენში. ამანაც ცუდი შედეგები მოუტანა რადას. გლეხებში უკმაყოფილება დაიწყო.

გეტმანი სკოროპადსკი მიტინგზე იქნა არჩეული. ამ მთავრობას მხარს უჭერდნენ: მსხვილი მემამულეები, მსხვილი ბურჟუაზია და სამღვდელოება, აგრეთვე გლეხების ნაწილი, ეგრედ წოდებული „კულაკები“. ყველა ესენი იყვნენ რუსეთის ორიენტაციის. ყველა რუსეთისაკენ იცქირებოდა, მაგრამ გარემოების მიხედვით დამოუკიდებლობას იცავდნენ: მათ ძალს უფრთხობდა საბჭოთა (ლენინის) მთავრობა, თორემ მოითხოვდნენ რუსეთთან შეერთებას.

ეს მთავრობა, რომლის თავმჯდომარეთ იყო ლიზოგუბი (რუსოფილი) წმინდა კონტრ რევოლიუციონური იყო. მათ გარეკეს ყველა დემოკრატიული ორგანიზაციები, გაანადგურეს თვითმართველობანი და სხვ. დამოკიდებულება ამ კონტრ რევოლიუციონური მთავრობის ჩვენთან არსებითად მეგობრული არ იყო. ისე კი თითქოს გარეგნული მეგობრობა იყო. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ გერმანელები იყვნენ იქაც და ჩვენშიაც. მათ კი გეტმანის მთავრობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ. ეს არა მეგობრული განწყობილება ჩვენთან მაშინ იჩინდა თავს, როცა ჩვენ პურის მიღების საკითხს დავსვამდით.

გეტმანის მთავრობა უმთავრესად ეყრდნობოდა 900 ათას გერმანელ ჯარს.

ყველასათვის აშკარა იყო, რომ თუ გერმანიის შინაური მდგომარეობა ოდნავ შეირყეოდა, უკრაინაში გეტმანის მთავრობაც დაეცემოდა, შიგ უკრაინაში იყო პარტიზანული რაზმები, რომელნიც რამდენიმეთ ებრძოდნენ გეტმანის მთავრობას და გერმანელებს. ეს რაზმები გახდნენ მუდმივი ანარქიის და იმავე დროს რევოლიუციის შემქმნელად.

პარტიზანული რაზმები იბრძოდა ესერების და კომუნისტების ხელმძღვანე-

დღეს

ლოიდ ჯორჯი აპირებს ოქტომბერში თავის მთავრობის რეორგანიზაცია მოახდინოს.

დაიწყო ინგლისიდან გერმანელ სამხედრო ტყვეების გადაყვანა სამშობლოში.

პოლონეთში უმუშევრობაა: კალიშში 12,000 უმუშევარია, ვარშავში 100,000, ლოძში 38,000.

პოლონელები გერმანულ ოლქებში დაჭერილ ადგილებიდან გერმანელებს და ებრაელებს ერეკებიან.

ლოძში 18 სექტემბერს ებრაელები დაარბიეს.

ამერიკასა და ინგლისში რკინის ჩამომსხმელი ქარხნების მუშები გაიფიცნენ.

თეთრგვარდიელთა „კიევსკაია ჟიზნ“-ი იუწყება, რომ ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის სახელით ხალხთა ლიგამ გადასწყვიტა ანტიბოლშევიკურ რუსეთის მთავრობას 10 მილიარდის სესხი მისცეს.

პეტროგრადის საბჭოთა მთავრობამ საზავო წინადადებით მიმართა უკრაინას და დასთანხმდა აღიაროს მისი დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი.

ცარიცინში ებრაელები დაარბიეს.

ბოლშევიკებმა საზავო წინადადებით მიმართეს ფინეთს.

კიევის რაიონში მოხალისეთა ჯარმა მდ. ირპენიდან დაიხია.

პეტროგრადის დასაცავად მივიდა ბაშკირთა დივიზია.

ონეგის, ჩუდის და პერნოვის ტბებზე ბრძოლაა, ბოლშევიკებმა აიღეს კუნძული კლიმეცკი და დაიჭირეს ნახევარ კუნძული.

კიევის გუბერნიის სამხრეთ მხარეებში პეტლიურასა და დენიკინს შორის ბრძოლაა.

საბჭოთა რუსეთში მოხდება რეგისტრაცია ყოფილ მემამულეების, კაპიტალისტების და იმ პირების, რომლებთაც ძველი რეჟიმის დროს საპასუხისმგებლო ადგილები ეჭირათ: ვინც რეგისტრაციას გაექცევა პასუხისგებაში იქნება მიცემული, როგორც სახელმწიფოს მოღალატე.

ლობით. საერთოდ პარტიზანულ რაზმებს ერთი ცუდი თვისება ყოველთვის აქვთ. პირველი, ისინი ვერ ეგუებიან ვერც სამხედრო და ვერც მოქალაქობრივ დისციპლინას. სცხოვრობს არა სახელმწიფოს ხარჯზედ, არამედ ნადავლით. მათში იბადება ანარქიული სულისკვეთება და მტაცებლობითი ინსტინქტი. ასეთი ტიპის რაზმი იყო ცნობილი გრიგორიევ ამალა, რომელიც ოთხჯერ მიემხრო სხვადასხვა მთავრობას.

როდესაც გერმანიაში რევოლიუცია დაიწყო გეტმანის მთავრობის ფუძეც შეინგრა. შესდგა ნაციონალური საბჭო, ყველა უკრაინული პარტიებიდან. თავმჯდომარედ იყო სოც. დემ. ვინიჩენკო. როდესაც გეტმანმა გამოსცა აქტი რუსეთთან უკრაინის ფედერატიულად შეერთების, იმავე საღამოს ნაციონალურმა საბჭომ შეადგინა დირექტორია და მოუწოდა ხალხს ბრძოლისაკენ. შესდგა პარტიზანული რაზმები და რამოდენიმე ბათალიონიც (გეტმანის) გადავიდა დირექტორიის მხარეზე.

პარტიზანულ რაზმებში შედიოდნენ, ბოლშევიკები, სო.-რევოლიუციონერები და სხვ. როდესაც პეტლიურას რაზმები ებრძოდნენ გეტმანის მთავრობას, გერმანიის პოზიცია მეტად ორჭოფული იყო. უნდა ითქვას, რომ გერმანიის მთავრობა ამზადებდა რუსეთის რევოლიუციისთვის ნიადაგს. ისინი (გერმან-) ამაგრებდენ დონში კრასნოვს, უკრაინაში გეტმან—სკოროპადსკის, პსკოვში შექმნა პოლკები გრაფი კელერის მეთაურობით. ყველა ამ ძალების საშუალებით უნდოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ გალაშქრება. როცა გერმანიაში რევოლიუცია მოხდა, უკრაინაში მყოფი გერმანელების მეთაურები მოსწყდნენ გერმანიის და არ იცოდნენ თუ ვის უნდა მიმხრობოდნენ: გეტმას, პეტლიურას, თუ სხვას. მათ დაიცვეს ნეიტრალიტეტი. ეს ნეიტრალიტეტი აიხსნება იმით, რომ გერმანელთა ჯარის-კაცების ცენტრალური საბჭო (კიევში) ნეიტრალიტეტს იცავდა. გერმანელების ასეთმა ყოყმანმა, ხელი შეუშალა პეტლიურას, გეტმანის მთავრობის ჩამოგდებაში. ამიტომ, პეტლიურამ დახმარებისათვის მიმართა რუსეთის ესერებს და ბოლშევიკებს. ბოლოს, როგორც იყო, ის შევიდა კიევში. მაგრამ იქ მას ზეიმით არ შეხვდენ. პეტლიურას წინააღმდეგ იყვენ მთელი დიდი ქალაქები. წინააღმდეგი იყო ბურჟუაზია და ქალაქის მუშებიც, რომელნიც იცავდენ რუსეთის ორიენტაცია და ინტელიგენცია. მხარს უჭერდენ მხოლოდ გლეხების ნაწილი და სოფლის ინტელიგენცია. მას კიევში შემოსვლის დროს უნდა დახვედროდენ ყველა უცქვეყნების წარმომადგენლები სადგურზე. დახვდენ მაგრამ, შეხვედრა ცივი იყო. ყველა პროფესიონალური ორგანიზაციები და მუშები პეტლიურას წინააღმდეგ წავიდნენ. ამის მიზეზი იყო შემდეგი: პეტლიურას ჯარებში ათათასი კაცი იყო გალიციელი, რომლებმაც მოახდინეს მუშათა ორგანიზაციების დარბევა. ინტელიგენცია პეტლიურას მაშინათვე ჩამოშორდა, რადგანაც მან მეორე დღესვე მოახდინა ნაციონალიზაცია, შემოიღო უკრაინული ენა და აუარებელი ხალხი უსამსახუროდ დატოვა. ქუჩებზე და მაღაზიებზე წარწერები უცბად გამოაცვლევინა და სხვ. ქალაქის თვითმართველობამ, როცა თავი აიშვა მაშინათვე სთქვა თავისი სიტყვა. ეს სიტყვა იყო რუსეთთან გაერთიანება ფედერაციის საშუალებით. ამან გამოიწვია მღელვარება. პეტლიურამ, როდესაც დაინახა, რომ მუშები ღელავენ, თვითმართველობა რუსეთთან მოითხოვს ფედერაციის სახით კავშირს, მოიწვია თათბირი ზომების გამოსამუშავებლად. ვინიჩენკომ ჩვენც დაგვისვა კითხვა თუ როგორ არის თქვენში მმართველობა მოწყობილი და ვის ეყრდნობა თქვენი მთავრობაო. ჩვენ უთხარით, რომ თქვენს და ჩვენს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენში მუშები მხარს უჭერენ მთავრობას, მთავრობა ეყრდნობა მუშების წრიდან გამოსულ სახალხო გვარდიას. თქვენ კი მუშები ჩამოგშორდენ და სხ. როდესაც უფრო ფართოდ დაისვა საკითხი, მაშინ უკრაინის მთავრობაში ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი: ერთნი მოითხოვდენ, ოღონდ უკრაინა დამოუკიდებლად იყოს და საბჭოების სისტემა შემოვიღოთო. მეორენი მოკავშირეებისაგან გამოელოდენ ხსნას. ამ რიგათ გაიგზავნა ორი დელეგაცია ერთ და იმავე დროს (რასაკვირველია საიდუმლოდ), ერთი მოსკოვში, მეორე მოკავშირეებთან. ორივე დელეგაცია ცუდათ მიიღეს და აქედან არაფერი გამოვიდა. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა. უკმაყოფილება ხალხში ყოველ დღე იზრდებოდა. ბოლოს გადასწყვიტეს შეედგინათ პარლამენტი. პარლამენტის არჩევნებს საფუძვლათ დაუდევს „შრომის საარჩევნო უფლება“. ბურჟუაზიას არ მისცეს უფლება ხმის მიცემისა. აარჩიენეს ხალხს დეპუტატები. არჩეულ იქნენ ბოლშევიკებიც. ეს კონგრესი გაიხსნა 19 იანვარს კიევში. მოწვეულ იქნენ ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, მაგრამ, გარდა საქართველოს მისიისა, არავინ არ დაესწრო. პეტლიურას ოპოზიციაში ჩაუდგენ ბუნდოველები და სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც მოითხოვეს რუსეთის ფედერაცია, მაგრამ დიდი ხმის უმრავლესობით მიიღეს დამოუკიდებლობის აქტი, მიიღეს აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი აქტიც: უკრაინის და გალიციის გაერთიანება. მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა, მწვავდებოდა. პეტლიურას დახმარებას არავინ არ უწევდა ბურჟუაზია გაიძახოდა: ჩვენ ბოლშევიკები გვირჩევნიაო. ბოლშევიკებმა თანდათან მოიმაგრეს ფეხი. მათ აიღეს სხვადასხვა ქალაქები და ბოლოს სულ უმნიშვნელო ძალებით აიღეს კიევი. პეტლიურამ კიევში ბოლშევიკებს ბრძოლა არ მისცა. ის ამბობდა: დეე ხალხმა გამოსცადოს ბოლშევიკები. შემდეგ ჩვენთვის უკეთესი პირობები დადგებაო. ამავე დროს მოსკოვში მოლაპარაკება იყო ბოლშევიკებთან. ლენინი მომხრე იყო შერიგების, ხოლო ზინოვიევი წინააღმდეგი უკანასკნელმა გაიმარჯვა. ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა რუსეთში დიდი ნაკლებობა იყო პურის ამიტომ დაადგინეს რათაც არ უნდა დასჯდომოდათ მაინც აეღოთ უკრაინა. ბოლშევიკების შესვლის დროს კიევში აუარებელი ხალხი გამოვიდა ქუჩებში, დიდის აღფრთოვანებით გამოვიდენ „სოვბურები“ (საბჭოს ბურჟუები), ბოლშევიკებმა მაშინათვე აღადგინეს რუსული ენა. ამავე დროს ბოლშევიკებს მიემხრენ ბუნდოველების უმრავლესობა, რაც სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ პეტლიურას ჯარები ახდენდენ ებრაელების დარბევას. ბოლშევიკები კიევში შემოვიდენ 8 თებერვალს. პირველ ხანებში კარგათ ეჭირათ თავი: ჟლეტა არ მოუხდენიათ. სიწყნარე იყო. მაშინ გაჩნდა ატამანი ზელინი, რომელმაც შეადგინა რაზმები პეტლიურას დახმარებით და კიევის გუბერნიაში დაიწყო ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ატამანი ზელინის რაზმები ახლა მოხალისეთა წინააღმდეგ იბრძვის.

უკრაინის გლეხებს რუსეთიდან შეესიენ რკინის გზელები, სხვადასხვა მოსამსახურენი და პურის წაღება დაიწყეს. ბოლშევიკებმა მოახდინეს პურის რეკვიზიცია. ამ გარემოებამ უკრაინის გლეხობაში ბოლშევიკებისადმი დიდი უკმაყოფილება დაბადა. არეულობა დაიწყო ალაგ-ალაგ. არეულობა იზრდებოდა და სამი თვის შემდეგ ზოგიერთი მაზრების აჯანყებით დაგვირგვინდა. გაიმართა ეგრედ წოდებული „ბრძოლა პურისათვის“.

(დასასრული იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან

სომხეთი და მოხალისეთა ჯარი.

სომეხ სოც.-რევოლიუციონერთა ერევნის ორგანოში შემდეგი წერილია დაბეჭდილი: „დენიკინის გაძლიერება და მისი გამარჯვებანი იმედებს აღუძრავენ დაშნაკელებს, რომლებიც ზომებს იღებენ, რომ თეთრი გენერლის მეგობრობა მოიპოვონ. დენიკინის ჯარშიმო მუდამ იყვნენ ურიცხვი ოფიციალური წარმომადგენლები აღმოსავლეთის ბიუროსი ანუ სომხეთის მთავრობისა. ის ცნობილი წერილი კი, რომელიც გამოგზავნა დენიკინმა, მის მერ მოწერილი იყო დაშნაკელ მოღვაწეთა (ა. მალხაზიანის) ცდით, როდესაც სომხეთის ანუ აღმოსავლეთის ბიუროს (ასე ეწოდება აღმოსავლეთურ ანუ კავკასია-სპარსეთის განყოფილებას დაშნაკცუტიუნისა, ოსმალურ-სომხური განყოფილებიდან გამოსარჩევად, რომელსაც დასავლეთის ბიურო ჰქვია) ოფიციალური წარმომადგენელი საგათელიანი მიემგზავრებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, დაშნაკელები ჩვენ გვეუბნებოდენ, რომ მას დენიკინთან არაფერი არ ექნებოდა საერთო და მიდის იქ, როგორც წარმომადგენელი სომხეთისა ყუბანის მთავრობასთან. ა. საგათელიანს მიჰყვნენ მ. არუთუნიანი და გ. ძამოიანი. ისინი წავიდნენ ჩუმად რესპუბლიკური მთავრობის (იგივე აღმასრულებელი ბიურო) ინსტრუქციებით, მაგრამ დაშნაკელები მაინც არ ტყდებოდნენ: ისინი ლტოლვილთა საქმეებზე წავიდნენო—ამბობდენ დაშნაკელები. მაგრამ აი რას ვკითხულობთ ჩვენ გაზ. „ყუბანის მიწის“ მეთერთმეტე ნომერში: „მე-2 და მე-3 სახელმწიფო დუმის წევრი საგათელიანი, რომელშიც იყო სომხეთის წარმომადგენლად ყუბანის მთავრობასთან, სომხეთის მთავრობამ ეხლა დანიშნა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალ დენიკინის საგანგებო სათათბიროსთან“.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

26 სექტემბერი.

მოხალისეთა არმიის ცნობები.

(?) სთან ბრძოლაში დაიჭირეს შკურო, მამანტოვი, მუსევი, ტატარინოვი და გენერალური შტაბის პოლკოვნიკები ოირანსკი და მამინი. ამავე ბრძოლაში გმირულად დაიღუპა გენ. მაკსიმოვი. შილოვის მიმართულებით მოხალისეთა არმიის გმირი ჯარისკაცები შეუჩერებლად ჩრდილოეთისაკენ წინ მიიწევენ. დავიჭირეთ ძველი ოსკოლი. ოსკოლთან ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა პოლკის უფროსი პოლკოვნიკი გალატი. დავიჭირეთ სად. ხრაცინსკაია. აქ ხელში ჩავიგდეთ მტრის ჯავშნიანი მატარებელი [illegible] და ტყვიის მფრქვეველები. პერეკოპ მიმართულებით [illegible] და დიმიტრიევსკიდან 35 ვერსზე სდგას... (გამოტოვებულია)... ამ ბრძოლაში ჩვენ ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები, 2 ტყვიისმფრქვეველი და 100 ტყვე წამოვიყვანეთ. ჩვენი სა[illegible] ნაწილები მდ. სეიმზე გადავიდენ. მარიანოვსკის რაიონში ბრძოლაა. ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი და 120 ტყვე წამოვიყვანეთ. ჩერნიგოვის მიმართ. ნეჟინის ჩრდილოეთით მდგომარეობა არ შეცვლილა. კიევის რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. ირპენიდან დაიხია. უმანის მიმართ. (გამოტოვებულია) ადესის რაიონი: ახალი ცნობები არ მოსულა ნამდვილს ხელს აწერს გენერალური შტაბის გენერალ კვარტირმეისტერი გენერალ მაიორი პოემჩევსკი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, ენკ. 25. სარატოვი. ენკენისთვის 18. ცარიცინიდან გამოქცეულთა გადმოცემით, ამ ქალაქში რბევის დროს ებრაელთა დელეგაციამ მიმართა გარნიზონის უფროსს თხოვნით, მიეღო ზომები ძალადობების მოსასპობად. დელეგაციას მიახვედრეს, რომ საჭიროა ქრთამი, დაუყონებლივ მოაგროვეს 100,000 მანეთი და გარნიზონის უფროსს გადასცეს. ამის შემდეგ რბევა შესწყდა.

ვიტებსკი. ენკ. 24. სად. გორიანის რაიონში მტრის 200 კაცი შეეცადა დვინაზე გადასვლას, მაგრამ ტყვედ ჩაგვივარდა ხელში.

ლიონი, ენკ. 24. ლონდონიდან მოსული ცნობით, ლოიდ ჯორჯი აპირებ ოქტომბერში თავის მთავრობის რეორ განიზაცია მოახდინოს. პოლიტიკურ წრე ებში ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი ცვლი ლებები უკვე გადაწყვეტილია და, რომ პრემიერი მეფის შოტლანდიიდან დაბ რუნებას უცდის, რომ მისი დასტურ მიიღოს. ბალფურს კერზონი შესცვლი სამხედრო მინისტრი ჩერჩილი და ირ ლანდიის საქმეების სტატს სეკრეტა მაკფერსონი სხვა თანამდებობას ჰერენ. ამას გარდა მოხდება სხვა ფრ ად მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ნაუენი, ენკ. 24. ლოძიდან იუწყებია რომ პოლონელთა მუშების შორის კ მუნისტური მოძრაობა, უმუშევრებ წყალობით, ყოველ დღე იზრდება. კალ ში უმუშევართა რიცხვი 12000 აღწევ ვარშავაში კი 100,000 აღემატება. ამ გარდა სურსათის საკითხიც თანდათ მწვავდება.

ნაუენი, ენკ. 24. გერმანიაში მ

საუბარი სოფლის ხალხთან

გადასახადებზე.

ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს: ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასაო.

ეს ნათქვამი სწორეთ ჩვენს ცხოვრებაზეა გამოჭრილი.

ბევრნაირ სიმწარეს, ბევრგვარ გაჭირვებას განიცდის დღეს ხალხი, მაგრამ ყოველივე ეს სიტკბოებისა და დალხინების აუცილებელი საფეხურია.

აბა თვალი გადაავლეთ თქვენს გარშემო ყოველივეს. ყოველ საოჯახო საქმეს წინ უძღვის ჯაფა, შეწუხება. ავიღოთ ვენახი, რამდენი შრომა უნდა, სანამ ღვინოს მიიღებდეთ.

ჯერ უნდა ბარით გადააბრუნოთ მიწა ერთ არშინზე და აურებელი ოფლი ჰღვაროთ. შემდეგ უნდა გასწიოთ დიდი ხარჯი, შეიძინოთ ნამყენი ვაზი და დარგოთ. სამი ოთხი წელიწადი თავს უნდა დასტრიალებდეთ, თოხნიდეთ, სარს უსობდეთ, სხლავდეთ, ახვევდეთ, რწყავდეთ, კირსა, შაბიამანსა და გოგირდზე აქეთ-იქით გარბოდეთ,—ერთის სიტყვით შრომობდეთ და იხარჯებოდეთ.

მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებთ ნაყოფს,—მაშინაც თუ ამინდმა ხელი შეგიწყოთ.

რა ვენახი! ავიღოთ სიმინდი. განა ცოტა ოფლის ღვრა გჭირდებათ, სანამ კეცზე მჭადს დაინახავდეთ.

დახვნა, დაფარცხვა, დათესვა, ორჯერ გათოხნა, მოტეხა, გარჩევა, დაცეხვა, დაფქვა. ამდენი შრომა უნდა გასწიოთ და ბოლოს მიიღებთ მჭადს!

შე დალოცვილო, თუ არ იშრომე და ხელი არ გაანძრიე, აპა მზამზარეულად რა მოგერთმევაო, გეუბნებით თქვენ.

მადლობელი გახლავართ. მეც სწორეთ ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის.

თუ არ იშრომეთ, ხელი არ გაანძრიეთ და ხარჯი არ გამოიღეთ, მზამზარეულად სახელმწიფოს ვინ აგიშენებთ ან მშვიდობიან ცხოვრებას ვინ მოგართმევთ?

ან იქნება გგონიათ, რომ სახელმწიფოს აშენება უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე თქვენი ვენახის გაშენება!

ან იქნება ვინმე თქვენთაგანი ჰფიქრობს, რომ სახელმწიფოს აშენებას ნაკლები შრომა და ხარჯი სჭირდება, ვიდრე თქვენ ვენახს!

ჩვენი მთავრობა და დამფუძნებელი კრება სწორეთ სახელმწიფოს აშენებენ—თავისუფალ საქართველოს.

ვინ ეხვეწებოდათ, წამომძახა თითო-ორმა [illegible] სხვადასხვა ალაგას.

რა თქმა უნდა, ამისთანა უგუნური თქვენ შორისაც იქნება.

ზოგს შეუგნებლობით მოსდის ეს, ზოგს კი თქვენი გაბრიყვება უნდა.

ან კი რატომაც არ ენდომება თქვენი გაბრიყვება იმ ადამიანს, რომელსაც ახალმა დრომ ყოველისფერი წაართვა.

ამისთანა ადამიანი კი ბევრია.

ისინი ხალხის მონობისა და სიბნელის წყალობით კეთილ ცხოვრებაში იყვენ, არაფერი არ აკლდათ. დღეს კი ხალხის განთავისუფლებამ ისინი მშრალზე დატოვა და დაძრწიან და ხალხში ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ: იქნება ხალხი ავაყოლიოთ, არეულობა გამოვიწვიოთ და ისევ ძველი დრო დავიბრუნოთო.

ერთი რამ კარგათ უნდა აღბეჭდოთ გულსა და გონებაში:

დღევანდელი მთავრობა თქვენი მთავრობაა—მშრომელი ხალხისა; ის აკეთებს მშრომელი ხალხის დიდ, საშვილიშვილო საქმეს და ამ გზაზე თქვენ ერთად უნდა იაროთ; საერთო უნდა გქონდეთ შრომაც, გაჭირვებაც, რომ შემდეგ დალხინებაც საერთო იყოს.

ჩვენი მთავრობა ბევრ გაჭირვებას იტანს თქვენი გულისათვის და ნუ თუ თქვენ თქვენი საკუთარი თავის, თქვენი ოჯახის, ცოლშვილისა და მათი მომავალი ბედნიერების გულისათვის არ აიტანთ დღევანდელი დროების სიმძიმეს.

უმადურობა მშრომელ ხალხს არა სჩვევია.

მთავრობა ისეთ რამეებსა გვთხოვს, რომ ჩვენ მისი ატანა არ შეგვიძლიაო, ამბობთ თქვენ.

სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს: თქვენი მტრების სიტყვებს იმეორებთ, აი ჩუმ ჩუმა რომ დადიან თქვენ შორის და მთავრობასა და თქვენს შუა ნდობა ერთობის ხიდის ჩატეხას რომ ლამობენ.

მთავრობა თუ რამეს ითხოვს თქვენსაგან, ითხოვს თქვენივე არჩეული კაცების—დამფუძნებელი კრების ნებითა და თანხმობით და თქვენივე საქმისათვის.

ერთ ამბავს მოგახსენებთ.

აზვირთებულ მდინარეს კაცი მიჰქონდა და ჰკიოდა: მიშველეთო, მაგრამ ვერავინ ჰბედავდა წყალში ჩასვლას. ის იყო, უნდა დამხრჩვალიყო, მაგრამ გამოჩნდა ერთი თავგამეტებული, გადაეშვა წყალში, სტაცა ხელი და დიდის გაჭირვებით გადაარჩინა. გონს რომ მოვიდა და მოსულიერდა, მიისვ-მოისვა კისერზე ხელი და თავის მხსნელს გინება დაუწყო:

— შენი ოჯახი კი დაიქცია ღმერთმა, ისე მოგიჭერია ხელი, რომ კისერს ვეღარ ვანძრევო.

— შე უსინდისო, სიკვდილს გადაგარჩინე და კისრის ტკივილს მისაყვედურებო, უპასუხა მან, მიაფურთხა და გამობრუნდა.

წყალში რომ იღრჩობოდა, ისეთი ვინ არის?

თქვენა ხართ. ისეთი დღეები დატრიალდა ჩვენში რევოლიუციის განმავლობაში, რომ თქვენი დაღუპვა, თქვენი საცხოვრებლის განადგურება აუცილებელი იყო,—ამას არ უნდა ლაპარაკი.

მაგრამ ჩვენმა მთავრობამ გადაგარჩინათ,—გადაარჩინა თქვენი სიცოცხლეც, თქვენი საცხოვრებელიც.

ახლა არ იკითხავთ, კისრის ტკივილი რაღა არის?

ეს ის გადასახადია, რომელსაც თქვენ საგან ითხოვს მთავრობა ჩვენი თავისუფლი სამშობლოს ასაშენებლად და ასაყვავებლად.

თქვე დალოცვილებო, იმათ, ვინც თქვენ და თქვენი ცოლშვილი სიკვდილს გადაარჩინა და თქვენი ქონება სრულ განადგურებას, გროშებზედ ეტყვით უარს და ამას გახდით სალაპარაკოთ და საყვედუროთ.

რის გროშები, ათეული თუმნობით გვხვდება თითო კომლსო,—ამბობთ თქვენ.

მე კარგათ ვიცი, ჩემო კეთილებო, როგორ ლაპარაკობთ ხოლმე თქვენ სხვა პირობებში, აი თუნდა როცა რასმე ჰყიდით, ვთქვათ—გოჭს.

— როგორ გოჭი?—გეკითხებათ მუშტარი.

— ოცი თუმანი,—ეუბნებით თქვენ.

— შე ქრისტიანო, მუჭის სისხო გოჭი და ოცი თუმანი, ღმერთი აღარ არი.

— შე კაი კაცო, ოცი თუმანი რა ფულია დღევანდელ კვალობაზე? ოთხი არშინი პირკალი მომივაო,—ეუბნებით თქვენ.

გეთანხმებით, სრულებით მართალი ხართ, მაგრამ სიმართლე ბოლომდე დაიცავით და დამეთანხმებით მაშინ, რომ ის რამოდენიმე ათ თუმნიანი, რომელსაც მთავრობა და დამფუძნებელი კრება გაწერთ თქვენ გადასახდელათ, დღეს არაფერს არ წარმოადგენს, გროშებია და მისი გადახდა ძნელი არ არის.

მხოლოდ სურვილია საჭირო და სახალხო საქმის სიყვარული.

მერე ვინა თქვა, რომ თქვენ არ გიყვართ მშრომელი ხალხის საქმე?

ვინ იტყვის, რომ თქვენ არ გსურდეთ მშრომელი ხალხის კეთილდღეობა?

ვერავინ.

არსად დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი მთავრობა, რომელიც ხალხისაგან გადასახადს არ ითხოვდეს.

ვერავითარი სახელმწიფო ვერ იარსებებს ისე, თუ ხალხმა გადასახადი არ გამოიღო.

ყოველ თქვენგანსა აქვს საკუთარი ოჯახი. ყოველ ოჯახს თავისი ხარჯი აქვს: ტანი, ფეხი, ჭურჭელი, რკინეულობა, ერემი და სხვ.

თუ ოჯახს შემოსავალიც არ ექნა, ამ ხარჯის დაფარვა შეუძლებელი იქნება და ოჯახი დაქცევისაკენ წავა.

ყოველი თქვენგანის ოჯახთან შედარებით ჩვენი ახალი სახელმწიფო მეტათ დიდი ოჯახია და მას ათასგვარი ხარჯი აქვს. როგორც ყოველ ახალ საქმეს, ისე ახალ სახელმწიფოსაც ხარჯი დიდი სჭირდება. მარტო ის მიიღეთ მხედველობაში, რომ გარეშე მტრები გვახვევია და თუ ჯარი და გვარდია არ ვიყოლიეთ, სულ მოგვსრესავენ.

თუ ამ დიდ ოჯახს—ჩვენს სახელმწიფოს—შემოსავალი არ ექნა, ხარჯს ვერ აუვა და დაიქცევა.

ეს შემოსავალი ვინ უნდა მისცეს მას?

ყველამ და მათ შორის თქვენც. ვისაც მეტი აქვს ის მეტს იხდის, ვისაც ნაკლები, ის ნაკლებს.

თვითეულ თქვენგანს თუ რამდენიმე ათი თუმანი შეხვდა, არიან ისეთებიც ქალაქებში, რომლებსაც რამოდენიმე ათასი თუმანი შეხვდა.

ნუ მისცემთ მთავრობას გადასახადსო, იცით ვინ ჩაგჩურჩულებთ ამას? თქვენი მტრები, რომლებიც ისე გაჩვენებენ თავს, თითქოს თქვენი პირველი გულშემატკივარი იყონ. ხომ გაგიგონიათ, მგელი რომ ცხვრის ტყავში გაეხვია და ფარაში გაერია.

ცხვრებმა ვერ იცნეს, ძმათ და ამხანაგათ მიიღეს და ბევრი მათგანი გამოეთხოვა სიცოცხლეს.

დაიჯერეთ, თქვენ შორისაც ბევრი დადის მგლის გულითა და ცხვრის ტყავით, მათი ერთათ ერთი მიზანი თქვენი და თქვენი ახალი საქმის დაღუპვაა.

აკი თქვენც ამბობდით ერთ დროს, ნუ მისცემთ მთავრობას ნურასფერსო, ამბობს ზოგი თქვენგანი თავის გულში.

დიახ, ვამბობდით, როცა მეფის მთავრობა იყო. ჩვენ გვინდოდა იმ მთავრობის დაღუპვა და ამიტომ გიქადაგებდით, არც ერთი კაპეიკი მეფის მთავრობასო.

ის მთავრობა იყო მდიდრებისა და თავადების მთავრობა და არა თქვენი. ამიტომ ვებრძოდით მას და თქვენც გამხედრებდით იმის წინააღმდეგ.

ვინც თქვენ დღეს ყურში ჩაგჩურჩულებსთ: არ მისცეთ ჩვენს მთავრობას ფულიო, რა უნდა მას?

ჩვენი მთავრობის დაღუპვა და ისევ ძველი მთავრობის—მდიდრებისა და თავადების მთავრობის—აღდგენა.

ვინც ჩვენი მთავრობის მტერია, იცოდეთ, ის თქვენი მტერია, თქვენი შვილების, თქვენი მომავალის, თქვენი კეთილდღეობის.

ზიზღი, ქვა და ნაცარი მათ!

გაუმარჯოს მშრომელი ხალხის საქმეს და ყველას, ვინც ამ საქმეს ემსახურება.

გაუმარჯოს, მაგრა ისიც კი გვახსოვს, რომ გვეუბნებოდით: დემოკრატია როცა გაიმარჯვებს, მაშინ არაფერი აღარ გადაგვხდებათო, მეუბნებით თქვენ.

ამაზე უნდა გიპასუხოთ, რომ ასეთი სისულელე არ გვითქვამს თქვენთვის, ვერც გეტყოდით.

დემოკრატიის გამარჯვება ნიშნავს ხალხის გაბატონებას. ხალხი თვითონ უძღვება თავის საქმეს, ხალხი თვითონ აშენებს სახელმწიფოს ცხოვრებას და ერთი მითხარით, სად და ვის რა აუშენებია ხარჯ გაუღებლათ?

ჩვენ კი გეუბნებოდით: როდესაც დემოკრატია გაიმარჯვებს, მაშინ გადასახადი სამართლიანათ იქნება განაწილებული: ვისაც ცოტა აქვს, მას ცოტა გადახდება, ვისაც ბევრი აქვს—მას ბევრიო.

დღეს ჩვენი მთავრობა სწორეთ ასე აწესრიგებს გადასახადს. მის განაწილებაში თქვენც იღებთ მონაწილეობას და თქვენზეა მინდობილი თქვენს სოფელში მისი სამართლიანათ გაწერა.

ჩვენ ვცხოვრობთ მეტად იშვიათ დროს. მეტად მძიმე პირობებში მუშაობს ჩვენი მთავრობა. საზღვარ გარეთ ყველგან არეულობაა. იქიდან არავითარი საქონელი ჯერ-ჯერობით არ მოგვდის. სიძვირე აუტანელია, ფულის ფასი საზღაპროთ დაცემულია. ამავე დროს მთავრობას აუარებელი ხარჯები სჭირდება.

აი ასეთ დროს უნდა იყოთ კაი ბიჭები, გული არ უნდა გაგიტყდეთ, იმედით შეჰყურებდეთ მომავალს და მთავრობას შესძახებდეთ ხოლმე: მოგვთხოვე, რაც გინდა, ჩვენ მზათა ვართ

ეს დრო გაივლის, ჩვენი სახელმწიფ გამაგრდება, მტრები ჩამოგვშორდებ საქონელი მოვა, ფულს თავისი ფასი უბრუნდება, მთავრობას გაუჩნდება სხ დასხვა წყარო შემოსავლისა და მაშ თქვენი გადასახადიც აღარ იქნება სა ძიმე და სალაპარაკო.

სად იყო მუდამ მაგარი გული?

თქვენში.

სად იყო მუდამ სიმტკიცე?

თქვენში.

დღესაც ისე უნდა იყოს.

თქვენი მტერი ძლეულია. მშრომე ხალხი თავისუფალია, მისი ღირსებ მისი ადამიანობა აღდგენილია. ყვე ბატონი მოსპობილია, ხალხი თვითო არის ქვეყნის ბატონ პატრონი.

მაგრამ ასეთ დიდ საქმეს თავმოყ დიფუძნება ესაჭიროება და აი აქ აუც ლებელი თქვენიდა მთავრობის ერთ ლოვნობა, თანხმობა, ერთობა.

მთავრობა თქვენთვის არის, თქ არჩეულია, ხოლო თქვენც მზათ უნ იყოთ, მთავრობას დაეხმაროთ მთელ თქვენის შეძლებით და ეს დიდი საქ შეაძლებინოთ.

ცოლშვილს დავაგირავებთ და მტერ არ დაუმორჩილდებითო, ამბობდენ ჩვე ნი ძველები, როდესაც საფრთხე მოა გებოდათ.

ნუ თუ ამდენათ დაჩიავდა ჩვე მშრომელი ხალხი, რომ შუა გზაზე დ იხოქებს და თავისი შეუგნებლობი გულგრილობით ისევ მონობის უღე დაიდგამს კისერზე?

აბა მიიხედ მოიხედეთ: თქვენი მტრე გულში იმედი ილვიძებს,—იმედი ძვე დროების დაბრუნებისა. მათ იმედს თქ ნი ყოყმანი აღვიძებს.

ვინც კაცია და ქუდი ხურავს, მ გულში დღეს ყოყმანს ალაგი არ უნ ჰქონდეს.

მზე თქვენი გაადამიანებისა, თქვ თავისუფლებისა და ბედნიერებისა ამ ბრწყინდა; მაგრამ შინაური თუ გარე ლი მტერი ჯერ საბოლოოდ არ არ ძლეული.

სოფლის მშრომელნო! დაეხმარ თქვენს მთავრობას და დამფუძნებ კრებას: ესენი თქვენთვის შრომობენ.

გული გაუმაგრეთ ჩვენს ჯარსა გვარდიას: ესენი თქვენთვის ღვრ სისხლს.

მაშინ თქვენი საშვილიშვილო სა საბოლოოთ დაგვირგვინდება და თქვ ბედნიერებას და კეთილდღეობას სა თარის თვალით იხილავთ.

ივ. გომართელ

ლავურებმა ჰამბურგის და ბრემენის მუშების თანაგრძნობის ნიშნათ გაფიცვები გამოაცხადეს.

მოსკოვი. ენკ. 25. სამხედრო ცნობებიდან. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ონეგის ტბაზე ჩვენ კუნძული კლიმეცკი დავიპყრით. გდოვის გზისკენ ჩვენმა ჯარმა ჩუდის და პსკოვის ტბის შუა მთელი ნახევარ კუნძული დაიჭირა. ბობრუისკიდან 10 ვერსზე ჩვენ სოფლები დავიბრუნეთ. ჟიტომირიდან სამხრეთ და ვოლინის ნოვოგრადოიდან სამხრეთ და სავლეთით წინ წავიწიეთ. კიევის მიმართულებით ჩვენი შეტევა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა ფასტოვი და კიევის დასავლეთით 25 ვერსზე 1 სოფელი დაიჭირა. რილსკი დავსტოვეთ. კურსკის რაიონში ბრძოლა გრძელდება. ხოპერის რაიონში გამარჯვება ჩვენ მხარეზეა. ტრესხვორონსტანსკთან ჩვენი ჯარი დონის მარცხენა ნაპირზე ისევ გადავიდა. ჩერნი რინოკზე ჩვენი შეტევა ვითარდება. ჩვენი მზვერავები ცარიცინიდან 20 ვერსზე არიან, ჩვენ უტევთ ლბიშჩენის და ორსკის რაიონში ჩვენი ჯარი მტრის სამხრეთ არმიის ჯარის დარჩენილ ნაწილების დევნას განაგრძობს. პეტროპავლოვის მიმართულებით ჩვენ წინ მივიწევთ და იშიმის რკინის გზის ხაზზე შეტევაზე გადავდივართ.

მოსკოვი, ენკ. 25. ელზას-ლორენში საფრანგეთის კომისარმა გამოსცა განცხადება, რომლის თანახმად ყველა გერმანელი მუშები, რომლებსაც ადგილები არ მიუღიათ, ელზას-ლორენის მადამოებიდან გადასახლდებიან. პოლონელები გერმანულ ოლქებში დაჭერილ ადგილებიდან გერმანელებს და ებრაელებს ერეკებიან. ლოძში 18 ენკენისთვეს ებრაელთა ნამდვილი რბევა მოხდა, ებრაელები ტრამვაის ვაგონებიდან გადმოყავდათ, წვერებს აგლეჯდენ და შემდეგ ხოცავდენ. ლოძში გერმანელებს საქმეს სრულიად არ აძლევენ. იქ 38,000 უმუშევარია.

კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა: სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მოხდება რეგისტრაცია ყოფილ მემამულეების, კაპიტალისტების და პირების, რომლებსაც მეფის ბურჟუაზიული წესწყობილებების დროს საპასუხისმგებლო ადგილები ეჭირათ. გარდა იმათი, ვინც სარდლების თანამდებობაზე არიან წითელ არმიაში და რომელნიც უკვე აღრიცხულნი არიან. ვინც რეგისტრაციას გაექცევა, მათ პასუხისგებაში მისცემენ, როგორც სახელმწიფოს მოღალატეებს და მათი ქონების კონფისკაციას მოახდენენ.

ლიტვის მთავრობის მინისტრ-პრეზიდენტმა რადიოთი აცნობა ამხანაგ ჩიჩერინს, რომ ლიტვა საზავო წინადადებაზე მისცემს პასუხს საბჭოთა რუსეთს შეერთებულ სახელმწიფოებთან საბოლოო მოლაპარაკების შემდეგ. უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარემ რაკოვსკიმ განაცხადა, რომ კიევის გუბერნიის სამხრეთ მხარეებში დენიკინის და პეტლიურას შორის ბრძოლაა. დენიკინი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ბრბოებს. დენიკინს ძლიერ მცირე საშუალება აქვს უკრაინაში ფეხის მოსაკიდებლად, ვიდრე გეტმან—პეტლიურას. იმ ადგილებში, რომელიც წინათ თეთრებმა დაიჭირეს და ეხლა ჩვენ ხელშია, ისე დავრწმუნდი, რომ თეთრგ. მთავრობას გავლენა არა აქვს დაპყრობილ ადგილებში. ხოცვა, ცარცვა-გლეჯა—აი მისი მართვა-გამგეობის სახე. რამდენადაც იზრდება მემამულეების ძალა-უფლება, იმდენად ძლიერდება საბჭოთა მთავრობისადმი თანაგრძნობა. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინაში მალე სრულიად გაიმარჯვებს საბჭოთა მთავრობა.

ბერლინი. ენკ. 18. ბრაუნშვეიგის მთავარ სადგურზე „სახელმწიფო თავდაცვის“ მოლაშქრეთა ცალკე რაზმებს ერთმანეთთან შეტაკება მოუხდათ. მოლაშქრეთა რაზმებმა ხალხი გაჰფანტა და ქუჩები დაიჭირა. ფიქრობენ, რომ ეს ამბები სპარტაკელების აგიტაციითაა გამოწვეული.

ფრანგული პრესის ცნობები.

ფერად კანიან ჯარების უკანასკნელმა რაზმებმა ტულონი მიატოვა და აფრიკისკენ გაემართა.

მოკლე ხანში ფოში და კლემანსო აპირობენ ამერიკა ინახულონ, ხოლო პუანკარე თავის მეუღლით—ინგლისი.

ცნობებია, რომ ამერიკასა და ინგლისში რკინის ჩამომსხმელი ქარხნების მუშები გაიფიცნენ.

იტალიური პრესის ცნობები.

უმაღლესმა საბჭომ გაიზიარა კომისიის წინადადება, უარყოფილ იქმნას საბერძნეთის თხოვნა, რომ ბულგარეთის ხელშეკრულებაში ჩართული იქნეს განსაკუთრებული მუხლები, რომლის ძალითაც საბერძნეთის მართლ-მადიდებელთა წარმომადგენლები და საბერძნეთის პატრიარქი დიდი უპირატესობით უნდა სარგებლობდეს.

მეფის დეკრეტით ნება დართულია იტალიაში და მის ახალშენებში საქონლის შეზიდვა და გამოზიდვა, მხოლოდ აკრძალულია სამხედრო მასალის გაზიდვა უნგრეთში.

გერმანული პრესის ცნობები.

5 ოქტომბრიდან სწრაფი მატარებელი ბერლინ-პრაგა ვენაში კვირაში სამჯერ ივლის. ხსენებული მატარებლის ქვანახშირით უზრუნველყოფის მიზნით ავსტრიის გზათა სტატს სეკრეტარმა კვირიდან შესწყვიტა სამგზავრო მიმოსვლა.

ამერიკის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ შეერთებულ შტატებში დარჩენილი სამხედრო ტყვე-გერმანელები, ყველა გაიგზავნოს სამშობლოში. მათი გადაზიდვა უნდა დაიწყოს სექტემბრის 25 დან. ტყვეები გადაიზიდებიან ამერიკის ტრანსპორტებზე ნიუ-იორკიდან როტერდამში. მათვე გაყვებიან სამოქალაქო ტყვე გერმანელები თავის ოჯახებით.

ამ ჟამად ვერსალში მოლაპარაკება სწარმოებს იმის შესახებ, რომ გერმანიამ ოთხეული საქონელი უნდა მიაწოდოს საფრანგეთს და ბელგიას. ამ მიზნით გერმანიამ 2 წარმომადგენელი გაგზავნა.

ტორნის რაიონში სოფლის მუშების გაფიცვა მოხდა ხელფასით უკმაყოფილების ნიადაგზე.

ფინეთიდან მიღებული ცნობების თანახმად, პეტროგრადის საბჭოთა მთავრობამ საზავო, წინადადებით მიმართა უკრაინას და დათანხმდა მისი დამოუკიდებლობის და ნეიტრალიტეტის აღიარებაზე.

რურის რაიონში რკინის გზის მოძრაობა დღე და დღე უარესდება.

ჰამბურგსა და ბრემენში გაფიცულთადმი თანაგრძნობის ნიშნად გაიფიცნენ შტეტინის მეზღვაურები.

სექტემბრის 24 დაიწყო ინგლისიდან როტტერდამში სამხედრო ტყვე გერმანელების გადმოყვანა. დღეში 300 კაცი გადმოყავთ.

ჩეხო სლოვაკიის წარმომადგენელმა ვენაში კანცლერი რენნერი დაარწმუნა, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ დაადასტურა ხელშეკრულება ავსტრიისთვის ქვანახშირის მიწოდების შესახებ.

დამფუძნებელი კრება

26 სექტემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ლომთათიძე.

ივ. გომართელის მოხსენებით, მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა რკინის გზის გენერალ გუბერნატორის განკარგულებაში საჭირო თანხის გადადების შესახებ.

გრ. ფურტაძის მოხსენებით, მიღებულ იქნა დეკრეტი ყოფილ კადეტთა კორპუსის შესაკეთებლათ დამატებით 700 ათასი მანეთის გადადების შესახებ.

ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის შეკითხვის—ქ. ხონის მცხოვრებთა წარმომადგენლების დაპატიმრების შესახებ გ. გვაზავა აცხადებს, რომ ფრაქციამ დაწვრილებითი ცნობების შესაკრებათ ქ. ხონში გაგზავნა ალ. ასათიანი და ამიტომ ვითხოვეთ ეს შეკითხვა გადადებულ იქნასო. შეკითხვა გადაიდო.

დასასრულ მოსმენილ იქნა ეროვნულ დემოკ. ფრაქციის შეკითხვა შესახებ ნიკოლოზ ჩარკვიანის დაპატიმრებისა. შეკითხვას ასაბუთებს ი. მაჰავარიანი, რომელიც აღნიშნავს დაწვრილებით ჩარკვიანის დატუსაღების ისტორიას და ამბობს: ამა წლის ორ აპრილს ქ. თფილისში, ნაშუადღევს 6 ს. გვარდიელებმა დაატუსაღეს მოქ. ნიკოლოზი ჩარკვიანი, რომელიც დამწყვდეულ იქნა მეტეხის ციხეში. ამის შემდეგ ჩარკვიანის წინააღმდეგ წაყენებულ იქნა რამოდენიმე ბრალდება სხვა და სხვა დროს. ბრალდებანი უსაფუძვლო აღმოჩნდნენ და ბრალმდებელმა შესაძლოდ არ დაინახა გამოძიების წარმოება. მიუხედავათ ამისა, ბ. ჩარკვიანი დღემდე ციხეში იჯდა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით და მგონი ახლა უპირებენ განთავისუფლებას. მე მინდა რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა აუხსნას დამფუძნებელ კრებას თუ ვინ დააპატიმრა მოქალაქე ჩარკვიანი სამინისტროს გარეშე, რა იყო მიზეზი, რომ ის არ იქნა განთავისუფლებული 6 თვის განმავლობაში და რატომ დღეს ანთავისუფლებენ. პ. მგინაძე (შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ.) აცხადებს, რომ შემკითხველს პასუხს შემდეგ გასცემს. განცხადება მიღებულ იქნა. სხდომა დაიხურა 1 ს. 35 წ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტ. საკანტროლო კომისიის სხდომა.

◆ **მთავრობის თავმჯდომარე** ნ. ჟორდანიამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სიღნაღში ერობის თავმჯდომარეს „მიიღეთ ყოველნაირი ზომები ყაჩაღთა ბრბოების გასარეკათ და დასასჯელათ. საზღვარის გადასვლას ერიდეთ, მხოლოდ აცნობეთ აზერბეიჯანის უახლოეს კომისართ ალაგმონ მათი ქვეშევრდომნი. ჩვენ ვაცნობებთ აზერბეიჯანის მთავრობას“.

◆ **ლტოლვილთა მღელვარება მე 300 ვერსზე.** მე 300 ვერსიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით ატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში მღელვარება მოახდინეს ლტოლვილებმა: სცემეს. სომხების მიერ დაყენებულ მცველებს, გამგის ოთახს ქვები დაუშინეს და მინები ჩაამტვრიეს. აჯანყებული ლტოლვილები მოითხოვდენ გამგის დამცველების გამოცვლას და სურსათის ულუფის მომატებას.

◆ **ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა** შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ მას გადაეცეს ყოფილი ამიერ-კავკასიის სტატისტიკური კომისიის ბიბლიოთეკა, რომელიც ამ ჟამად სრულიად უპატრონოდ არის და მოთავსებულია ყოფილ ამიერ კავკასიის გეოგრაფიულ საზ—ბის ბინაზე (მოსკოვის ქუჩა № 3). შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავის მხრივ ნება დართო და ამ დღეებში მოხდება ბიბლიოთეკის გადაცემა.

◆ **საზღვრების გადმოლახვა.** ლაგოდეხის საერობო თემის თავმჯდომარე დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ 24 სექტემბერს კაბახჩელებს (ზაქათალის ოლქი) გადმოულახავთ საზღვრები 5 ვერსის მანძილზე ტყე გაუჩეხიათ და 5 საჟენზე ახალი საზღვარი გაუყვანიათ, მცხოვრებლებისათვის წაურთმევიათ საქონელი და ფული და უკან დაბრუნებულან.

◆ **კრწანის ველის დათვალიერება.** 24 სექტემბერს დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის ინიციატივით, მთავრობისა, დამფუძნებელ კრების და სხვა და სხვა კულტურულ და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს კრწანისის ველი, სადაც 1795 წ. 11 ენკენისთვეს (ძვ. სტ.) მოხდა საბედისწერო შეტაკება ქართველი ლაშქრის და სპარსეთის შაჰის აღა-მაჰმად ხანის ლაშქრის შორის. დაიბადა აზრი კრწანის ველზე, კრწანისის ომში დახოცილ ქართველთა ხსოვნის ასანიშნავად ძეგლი აგონ.

◆ **უკრაინის მოქალაქეთა მოწმობების გაუქმება.** უკრაინის მთავრობის საკონსულომ კავკასიაში გააუქმა უკრაინის მოქალაქეთათვის წინად მიცემული დროებითი მოწმობები და გამოაცხადა, რომ უკრაინის მოქალაქეებმა ახალი მუდმივი მოწმობები უნდა მიიღონ უკრაინის რესპუბლიკის თფილისის, ბაქოს, ბათუმის, ფოთის და ერევნის საკონსულოებიდან (მათი მუდმივი ბინადრობის მიხედვით).

◆ **საერთო განათლების კურსებზე,** რომელსაც მინიჭებული აქვს მთავრობის გიმნაზიების უფლებები, სწავლა დაიწყო 25 სექტემბერს. დირექტორათ მოწვეულია ბ. აკაკი ფაღავა. მეცადინეობა სწარმოებს საღამოს 9 საათამდე. კურსებს ხელმძღვანელობას უწევს ძველი გამგეობა დ. უზნაძის, შ. ნუცუბიძის და გ. ახვლედიანის შემადგენლობით.

◆ **აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლებისაგან.** აზერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან არსებული საინფორმაციო ბიურო აცხადებს, რომ დღეს 27 სექტემბერს, დიპლომატიურ წარმომადგენელის მოადგილე ფარის-ბეკ ვეკილოვი ინგლისის უმაღლეს კომისართან (ამიერ-კავკასიაში) უორდროპთან ერთად შაქოში მიემგზავრება და მისი აქ არ ყოფნის დროს მისიაში მთხოვნელთა მიღება შეწყვეტილ იქნება.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს სახალ. სახლ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა „მსხვერპლი“. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **საღამო.** კვირას, 28 სექტემბერს მუშათა კლუბის ახალ შენობაში, ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის გასამხიარულებლათ გაიმართება სეირნობა საღამო წარმოდგენით.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** ყველა ერობებისა და ქალაქის გამგეობებს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: სექტემბრის ოცს რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მიეცეს ერობათა და ქალაქის თვითმართველობებს ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ ნაფიც მსაჯულთა სიები. ყველა ის ერობა და ქალაქის თვითმართველობანი, რომელნიც არ შეასრულებენ ამ განკარგულებას, პასუხისგებაში მიეცემიან. გაუწყებთ რა ამას, გთხოვთ იუსტ. მინისტრის დავალებით შეაჩეროთ მიწერ-მოწერა გამართოთ სათანადო ერობებთან და ქალაქებთან და დანიშნულს, დროს ოქტომბრის 4, სიების მიუღებლობა აცნობოთ სამინის. დეპეშით, სამართალში მისაცემათ იმ ერობების და ქალაქების გამგეობათა, რომელნიც არ წარმოადგენენ უკანასკნელ სიებს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ თავის, 24 სექტემბრის, სხდომაზე პრეზიდიუმში ამოირჩია შემდეგი პირნი: თავმჯდომარეთ გრ. ლორთქიფანიძე, თავმჯდომარის ამხანაგებად: მ. მანდელშტამი და პ. აზატიანი, მდივნად ს. ქორქოლიანი, ხაზინადრათ ე. მახვილაძე. იმავე სხდომაზე აირჩიეს ინსტრუქტორები განყოფილებებში. ქართულ განყოფილებაში აირჩიეს გრ. ნათაძე, ს. დ. ალ. ქორქოლიანები. რუსულ განყოფილებაში—ლ. იშკოვი. სომხურ განყოფილებაში—პ. აზატიანი. მუსულმ. განყ.—ხაკი-ისმაილი. მეცადინეობა დაიწყება 5 სექტემბრიდან.

◆ **ანატომიის სახელმძღვანელო.** სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ნათიშვილმა შეადგინა ანატომიის სახელმძღვანელო ქართულ ენაზე. წიგნი 315 გვერდისაგან შესდგება და გასაყიდათ ამ მოკლე ხანში გამოვა.

◆ **აჭარელის დაჭრა.** როგორც გამოირკვა, სამაჰმადიანო საქართველოს მეჯლისის მდივანი იზედა შაზიბი მილიციელს ს. ხეცუშანის მცხოვრებ მამედ ოღლი ნაზიქს დაუჭრია.

◆ **რედაქციამ მიიღო** ალ. წერეთლის—„მიოლილი ისტორია“ (ნაწილი 1). წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, დართული აქვს 46 სურათი, შეიცავს 144 გვერდს და ღირს 25 მანეთი.

◆ **„ზაოტატი“.** დამფუძნებელნი ამიერკავკასიის სავაჭრო საქონლით მოვაჭრე სააქციონერო საზოგადოებისა მართავენ კრებას ქ. ქუთაისში ლ. პ. კოკოჩაშვილის ბინაზე—საზოგადოების ორგანიზაციის და მისი ფუნქციის დაწყების შესახებ სათათბიროდ. კრებაზე მოწვეულნი არიან, როგორც ქალაქის, ისე პროვინციის აფთიაქარნი და დროგისტები. ამავე კრებაზე განზრახულია არჩევა რწმუნებულის, რომელიც უნდა გაიგზავნოს საზღვარ გარეთ დამფუძნებელთაგან დიდძალი ნაყიდი საქონლის მოსატანათ.

◆ **ჟურნალ „მუშათა ცხოვრებისთვის“.** საჭიროა დამტარებლები. პირობების გაგება შეიძლება რედაქციის კანტორაში ელისაბედის ქ, № 14. „ზომონდი“, ოთახი № 22.

◆ **დატუსაღება.** უკანასკნელ დღეებში 1 კომისარიატის მილიციამ დაატუსაღა და სასამართლოს გადასცა ქურდობისათვის: გ. მიქაშოვი, ვისოჩკინი, ტროფიმოვი, გრიგორიევი, პ. გეტმანი, ფ. ჯულა, მაჰმედ ოღლი, ვ ვოლკოვი და გ. პონჯაგიძე. გაძარცვისათვის: დ. ანიშვილი, ს. ზატაშვილი, ა. ავეტიკი, მამედ კარი ოღლი, გალიდ-ალი ახპერ, ჩირდილეგლი და კიკელოვი. ყაჩაღთა გაუპატიურებისათვის: აბრამიშვილი ი. და ა. თედიაშვილი. მოპარული საქონლის უმეტესი ნაწილი აღმოჩენილ იქმნა.

კრებები.

დღეს, 27 სექტემბერს, საღ. სრულ 6 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში დანიშნულია მეოთხე რაიონის ს. დ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება. მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ივ. გომართელი. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა. პრეზიდიუმი სთხოვს კომიტეტის წევრებს კრებას დაესწრონ.

— კვირას, 28 სექტემბერს დილის 11 საათზე, ავჭალის აუდიტორიის შენობაში მოწვეულია მეათე და მეცხრე (9—10) უბნის მცხოვრებ ს. ს. დ. მ. პარტ. მცირე კოლექტივის წევრთა საზოგადო კრება მოხსენებას გააკეთებს მომენტის შესახებ ა. ლომთათიძე. ბოლოს მოხდება არჩევნები. კრება მეორედ არის მოწვეული და კანონიერათ ჩაითვლება რამდენიც არ უნდა გამოცხადდეს.

— კვირას, 28 სექტემბერს, დილის 10 ს., ქალთა კავშირის ამბულატორიაში (პუშკინის ქუჩა, № 4) დანიშნულია ქალთა კავშირის მოსამსახურეთა კრება. დღის წესრიგში მეტად მნიშვნელოვანი კითხვებია და სთხოვენ წევრებს აუცილებლათ დაესწრონ კრებას.

— კვირას, ენკენისთვის 28 ს, დილის 10 საათზე, ქალთა მეშვიდე წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიის შენობაში შესდგება ამავე გიმნაზიის მოწაფეთა მშობლების საერთო კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები. მშობლებს სთხოვენ უეჭველად მობრძანდნენ კრებაზე.

— კვირას, 28 სექტემბერს, ნაშუადღევს 3 საათზე, კავშირის შენობაში (მიხეილის პრ. № 139) შესდგება დაჭრილ-დასახიჩრებულთა საერთო კრება. გაირჩევა ფრიად საჭირო საკითხები.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე დანიშნულია ს. ს დ. მ. პ. თფილისის ქალთა კომიტეტის წევრთა კრება.

— კვირას, დღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში (საბჭოს დარბაზი) დანიშნულია საზოგადო კრება ქალაქის იმ მოსამსახურეთა, რომელთაც უნდა შეისწავლონ ქართული ენა.

პროვინციის ქრონიკა.

ხ. შომანაურში (გურია) გაიხსნა უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო.

სახალხო გვარდიის ყრილობის მისალმებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას

დემოკრატიამ საერთოდ და კერძოთ მისმა შეიარაღებულმა ნაწილმა, სახალხო გვარდიამ, კარგათ იცის, რომ დღევანდელ პირობებში მთავრობა, ეს გამუდმებული სხვერპლია სამშობლოსა და დემოკრატიის საკეთილდღეოთ შეწირული. გისურვებთ კვლავინდებურ ენერგიით იმოღვაწეოთ და შეუდრეკელათ ებრძოლოთ ხალხის, როგორც შინაგან, ისე გარეშე მტერს. კვლავინდებურათ განაგრძეთ მშვიდობიანობის მშვიდობიანის საშუალებით განმტკიცება, ხოლო დემოკრატიის გაუსწორებელ მტერთა და ორგულთა წინააღმდეგ ბრძოლაში გახსოვდეთ, რომ საქართველოს დემოკრატიას აქვს უკანასკნელი მკვეთრი და მტკიცე საბუთი სამართლიანი საქმის დამცველი სახალხო გვარდიის ფარი და ხმალი.

სამხედრო მინისტრს.

საქართველოს სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა გთხოვთ გადასცეთ ქართველ ლაშქარს ჩვენი ძმური სალამი, ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ვერავითარი შავი ძალები ვერ შესძლებენ ჩვენ შორის გულცივობის ჩამოგდებას. სახალხო გვარდია და რესპუბლიკანური ლაშქარი ღვიძლი ძმებია, შობილი საქართველოს დემოკრატიის მიერ და მათ შორის მხოლოდ ერთი რამის შესახებ შეიძლება ჯიბრი, რაც შეიძლება მეტი თავდადება და მეტი მსხვერპლი თავის მშობელის საქართველოს დემოკრატიის ტრაპეზზე.

პარიზი, ირაკლი წერეთელს

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა გთხოვთ გადასცეთ ჩვენი გულწრფელი სალამი მუშათა ინტერნაციონალს. ყრილობამ სახალხო გვარდიის დროშათ ინტერნალის წითელი დროშა დაამტკიცა და ამ შრომის ალამით ხელში ის შეიარაღებული სდგას პატარა საქართველოში, აზიისა და ევროპის შემაერთებელ ულელტეხილზე. სანამ საჭირო იქნება ის ამუშავებს თავის ხმალს მუშათა კლასის დასაცავათ და ამავე დროს მისი მიზანი და მისწრაფებაა რაც შეიძლება მოაახლოვოს ის დრო, როდესაც თოფ-ზარბაზანი ჟურო-ჩაქუჩით და გუთან ნამგლათ გადიქცევა.

საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას.

იმ დროს, როდესაც ყოფილ რუსეთის ვებერთელა ტერიტორია პირველ რევოლიუციონურ ქარიშხლების შემდეგ, რეაქციის და ანარქიის [illegible] წარლვენა და წალეკა, მხოლოდ [illegible] სამშობლოში დარჩა გაუნადგურებელი დემოკრატია, რომლის შემოქმედების განსახიერება და უზენაესი ნების გამომხატველია რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება. ააშენეთ ქვეყანა და აყვავენეთ მისი კეთილდღეობის საძირკველი. ჩვენი ბასრი ხმალი კი საჭიროების დროს თქვენს განკარგულებაშია. ჩვენი მხურვალე და თავმდაბალი სალამი საქართველოს დემოკრატიის გვირგვინს—რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას.

ფრონტს.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა თავის პირველ სალამს გიძღვნის თქვენ, ფრონტზე მდგომ ამხანაგებს, რომლებმაც საკუთარის მკერდით ცოცხალი კედელი შემოარტყით ჩვენს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, და საკუთარ სიცოცხლეს სწირავთ რესპუბლიკის სიცოცხლეს და ხალხის ბედნიერებას. იცოდეთ, რომ მადლიერი ხალხი არ ივიწყებს და არც დაივიწყებს თქვენს ამაგს. ყრილობა სულით და გულით თქვენთანაა.

მუშათა დეპუტატების საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის პირველი ყრილობა მხურვალეთ ესალმება თავის მშრომელ მუშათა დეპუტატების საბჭოს. იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭო მომავალშიაც არ მოაკლებს გვარდიას თავის მშობლიურ ალერსსა და ბრძნულ ხელმძღვანელობას. გვარდია კი კვლავინდებურათ მუშათა კლასის ხმალი იქნება, რომლითაც ის სხვა საშუალებებთან ერთად გზას გაიკაფავს შრომის სამეფოსაკენ.

ყრილობის თავმჯდომარე **გრ. ლორთქიფანიძე.**

მთავარი შტაბის თავმჯდომარე
ვ. ჯუღელი.

უცხოეთი

ჩეხეთის მთავრობა.

ჩეხეთის ახალ მთავრობის შემადგენლობა: პრეზიდენტი ტუზარი (სოც.-დ.) შინაგან საქმეთა მინისტრი—სვეჰლა (აგრ.), საგარეო საქმეთა მინისტრი—ბენეში (სოციალისტი), ფინანსების—ხორიცეკი, ვაჭრობის—ჰაიზლერი (სახალ. სოციალ.), საზოგადოებრივ საქმეების—ხეჰპოლი (სოც. დემ.), სურსათის—ფედევი, გზათა მინისტრი—სტრიბრნი. (სახ. სოც.), [illegible] კი (აგრ.) [illegible] ბარი, [illegible] ვინტერი (სოც. დემ.) [illegible] სელი (სახ. დემ.) განათლების—ხორბმანი (სოც. დემ.), სამხედრო კლოპინი. (სახ. ს.), ფოსტის და ტელეგრაფის—სტანეკი (აგრ.)

ზავი ავსტრიასთან.

ნორვეგიული გაზ. „ნაუკენი“ სწერს, რომ ავსტრიის საზავო პირობები გაცილებით უარესია ვიდრე, გერმანიის. ყოვლად ძლიერმა პარიზის საბჭომ, უყურადღებოთ დასტოვა რა ვილსონის პუნქტები, ერთი კალმის მოსმით 6 მილიონი გერმანელები უცხო სახელმწიფოთა ხელში ჩაჰყარა. 10 მილიონ ავსტრიის გერმანელებიდან—6 მიეცა უფლება დაარსოს თავისი სახელმწიფო.

მეტად სამწუხარო ფაქტია ის—რომ სამხრეთი ტიროლი—სადაც უმეტესობა გერმანელებისაგან შესდგება—სტრატეგიულ მოსაზრებით იტალიას მიაკუთვნეს.

ზღვების გაწმენდა ნაღმებისაგან.

ინგლისელების წყლები თითქმის გაწმენდილია ნაღმებისაგან. 600 ოფიცერი და 16 ათასი მატროსი მუშაობს ამ საქმეზე. კერკვალის და ნორვეგიის შუა მინების ამოღებას ხელს უშლის ცუდი ამინდები ამ ადგილებში 57 ათასი ნაღმია.

დიდი საქმე

(ახალი წყალსადენი).

ჩვენი ქვეყნის დედა ქალაქის დემოკრატიულმა საბჭომ მიიღო მეტად დიდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: მან დაადგინა ახალი წყალსადენის გაყვანა. საბჭომ შვიდასი ათასი მანეთი გადასდო საჩქარო წინასწარ გამოკვლევის მოსახდენად და ამ საქმის მოსავარებლათ ოთხი თვის ვადა მისცა გამგეობას, რათა რაც შეიძლება მალე მიეწოდოს ქალაქის მცხოვრებთ იაფი, ბლომად და კარგი ღირსების წყალი. ეს დადგენილება მეტად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია.

დემოკრატიული გამგეობის მუშაობა, სხვადასხვა რთული და საპატიო მიზეზების გამო, დღემდე მეტად მიდუნებული იყო. რა აფერხებდა გამგეობის მუშაობას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია: საერთო არევ-დარევა, ბლოკადის მეოხებით ევროპის ბაზრიდან დაშორება, რაც ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში აყენებდა ქალაქს სხვადასხვა რთულ ხასიათის დაწესებულებებს, მოსამსახურეთა გაფიცვები და მტრული, ჩუმი, თუ აშკარა საბოტაჟი—აი ყველა [illegible]ზები, რომლებიც დღემდე ხელს უშლიდნენ თვითმართველობის, [illegible]ნობის მეტი უნარის გამოჩენაში. დღეს, როგორც ეტყობა, ამ მხრივ შედარებით უკეთესი პირობები დგება: გამგეობა თანდათან აღწევს მუშაობის ნორმალურ კალაპოტს და პირველ აუცილებელ საქმეს ახალი წყალსადენის გაყვანას შესდგომია.

ავჭალის წყალსადენი, რომელიც ააგეს ოცდა ცამეტი წლის წინათ და რომლის სრული უვარგისობა ოთხი წლის შემდეგ აშკარა იყო, ქალაქის მცხოვრებთათვის აუტანელი შეიქნა. გარდა იმისა, რომ თვით წყალი უვარგისი ღირსებისაა,—ამ წყალსადენის „კაპრიზებმა“ პირდაპირ ძარღვები მოუშალა მცხოვრებლებს და თუ ჩვენ მაინც უმტკივნეულოთ ავიტანეთ მისი კაპრიზები,—ეს უნდა მიეწეროს მხოლოთ და მხოლოთ დემოკრატიის სალ შინაურ პოლიტიკით შექმნილ პირობებს..

თფილისში წყალსადენის გაყვანას დიდი ისტორია აქვს. ოცდა რვა წლის განმავლობაში ხმაურობდა ძველი საბჭო ახალ წყალსადენის ირგვლივ. მოიწვიეს ცნობილნი მეტცი და ლინდლეი და ამ სპეციალისტებთან ერთათ ფოტოგრაფების, აკვარელისტების და საუკეთესო გასტრონომების თანხლებით მრავალჯერ ექსკურსანტობდნენ წალკა-ნატახტარისაკენ წყლის აღმოსაჩენათ. მაგრამ მათი „საქმიანობა“ ბუნების გაშლილ წიაღში დაფა-ზურნით, მცვრიანი მწვადებით და „კინტაურით“ თავდებოდა...

მიუხედავათ იმისა, რომ ძველი საბჭოს განკარგულებაში იყო ამ საქმის ღირსეულათ შესრულებისათვის საუკეთესო პირობები, იმათ ეს მაინც ვერ შესძლეს, რადგან ხალხის ბედი, მცხოვრებთა უმრავლესობის გულის ტკივილი, მათ არ აღელვებდა...

მაგრამ დადგა დრო დემოკრატიის და წყალსადენის გაყვანის საქმემ კვლავ იჩინა თავი.

რომელ წყაროებიდან უნდა გამოიყვანონ ქალაქმა წყალი? აი კითხვა, რომლის სწორი გადაწყვეტა ნიშნავს საქმის არსებითად დაწყებას. პატარა, ილაჯის ოდენა შეცდომა ამ კითხვის გადაწყვეტაში, საშინელ შედეგებით, მეტად მძიმე ტვირთად დაგვაწვება კისერზე არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენ მომავალ თაობასაც. ამით აიხსნება ის სიფრთხილე

ლე, რომელიც გამოსჩანს ქალაქის გამგეობის მოხსენებაში და ეს ერთგვარი თავდებია იმისა, რომ ამ საქმეში არავითარი შეცდომა დაშვებული არ იქნება და, მიუხედავათ მძიმე პირობებისა, საქმე შესანიშნავად და ღირსეულად დაიწყება და დამთავრდება.

დღემდე ერთგვარად გამოკვლეული არის სამი ჯგუფი წყაროებისა—წალკა, ნატახტარი და ბულაჩაური, რომლების შესახებ დაწვრილებით ცნობებს ჩვენ შემდეგში მოვიყვანთ.

ძველი.

ᲓᲘᲓᲣᲑᲔ

18 სექტემბერს, ღამის ათ საათზე, გორის ქუჩაზე სახლი № 6-თან მოისმა საშინელი თოფის ხმა, რომელიც გავარდა ზედიზედ 2-ჯერ. სახლში მყოფთ ეგონათ, რომ ვიღამაც ბომბი გადააგდო და შეშინებულნი მთელი ქუჩის მცხოვრებნი, გულგახეთქილნი ქუჩაში გამოიფინენ ამბის გასაგებათ და შემდეგი გამოირკვა: უფროსი მილიციონერი კოპალეიშვილი შეზარხოშებულიყო და მას თითონ ესროლა ვინტოვკა. ესეც იმ დროს, როდესაც ამ უკანასკნელ ხანებში ანარქია ამოძრავდა და ჩვენი მტრები ხითხითს მისცემიან და ათას რამეს ლაპარაკობენ ჩვენზე და ამ დროს წესიერების დამცველი და მეთვალყურე თითონ არღვევს წესს და თავზარსა სცემს მშვიდობიან მცხოვრებთ. შემდეგ სროლისა ის გამოვიდა ქუჩაში ვინტოვკით ხელში, რომელიც გატენილი იყო და ვერავინ გაბედა მისვლა შიშის გამო უიარაღოთ, ამ დროს გამოჩნდა რამდენიმე მილიციონერით მილიციის უფროსის თანაშემწე იმნაიშვილი, რომლებმაც შემოარტყეს ალყა და აჰყარეს იარაღი. მცხოვრებლები კმაყოფილნი დარჩნენ ამ ზომით და იმედი აქვთ, რომ ამნაირი საქციელისთვის ის იქნება დასჯილი კანონით, რითაც ხალხი დარწმუნდება, რომ ყველა ის პირნი, ვინც კი მოისურვებს თავისუფალ დემოკრატიულ რესპუბლიკაში წეს-რიგის დარღვევას, ვისგანაც უნდა იყოს ის, ყველანი ისჯებიან თანასწორად და თუ ესეთები დაუსჯელნი დარჩნენ, მაშინ ანარქია უფრო იმატებს და ის შეხედულება, რომლებიც ტრიალებს თვით მოწინავე მუშებშიაც დისციპლინის შესახებ, გამართლდება და ყოველივე იმედიც დაეკარგებათ. ამ რამდენიმე დღის წინად ვერაგულათ იქმნა მოკლული პატიოსანი მუშა-მებაღე ბესო ქობულია, რომელსაც დარჩა წვრილი ცოლშვილი. მკვლელობა მომხდარა-როგორც გავიგე, შემდეგ ნაირად: ბაღში ყოფილა ორ სართულიანი სახლი, ზევით სძინებია თვითონ განსვენებულს, თავის მცირე წლოვანა ვაჟით და დაბლა ყოფილა [illegible] ორ ბაღში მომუშავე, რომელთაც ჩაუდენიათ ეს მხეცური მკვლელობა, ასულან ზემო სართულში, დასდგომიან მძინარს თავზე და გამოუჭრიათ ყელი და შემდეგ ჩამოსულან დაბლა და მოურთავთ ყვირილი: არიქა გვიშველეთ, ყაჩაღები დაგვესხა თავსო. მაშინვე მოგროვილან იქვე ახლო მახლო ბაღებიდან მებაღეები და მასთან მე-12 კომისარიატის კომისარი და მილიციონერები და რო უნახიათ ასე მხეცურათ მოკლული, მაშინვე ეჭვი აუღიათ თვით მათზე, რადგანაც მათ არ ედოთ ადამიანის ფერი და მასთან ხელებიც სისხლიანი ქონდათ. ისინი იქვე დაეტუსაღებინათ და გამოძიებაც სწარმოებს.

მეთვალყურე.

Ს.-Დ. ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ

თფილისი. 11 სექტემბერს მოხდა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა, რომელსაც სათათბირო ხმით დაესწრენ შემდეგი ამხანაგები: „მირის“ ქარხნიდან ამხ. კ. მელქუმიანცი, სამხედრო სასურსათო მაღაზიიდან ვ. კრეჟულიშვილი და ზ. გუჯარელიძე, მესამე რაიონის სახალხო გვარდიელთა შტაბიდან ამხ. არ. ალაფოვი და ახალგაზრდა მარქსისტთა თფილისის ორგანიზაციიდან ამხ. დ. თრაძველიძე.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. წივწივაძე, რომელიც სხდომას აცნობს კომიტეტის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს პარტიულ მუშაობის ასაღორძინებლად, კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევას, კომიტეტის ფინანსიურ მხარეს და მეორე რაიონის მანდატის დამტკიცების შესახებ გამოწვეულ კამათს. კოლექტივი ისმენს მოხსენებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ თფილისის კომიტეტმა მიიღოს ზომები, რათა მალე მოხდეს რაიონებში წევრთა სრული რეგისტრაცია, რომ ამით საშვალება გვექნეს ვიცოდეთ, თუ რამდენი პარტიის წევრი იყრის თავს ჩვენი ორგანიზაციების გარშემო.

სალამოს გამართვის შესახებ კოლექტივმა იქონია მსჯელობა და გადასწყვიტა, რომ კოლექტივის ფინანსიური მხრის გასაუმჯობესებლად გამართულ იქნეს სალამო, რისთვისაც აირჩია კომისია შემდეგი პირებისგან: იოს. ბარამაშვილი, ის. ხუციშვილი, ნიკო მიქაძე, არმენაკ უმბრიევი და ვლადიმერ ხეჩიაშვილი.

პროპაგანდისტ-აგიტატორთა კურსების მოწყობის შესახებ კოლექტივმა აუცილებელ საჭიროებად დაინახა მოკლე მომავალში ავლაბრის მოწინავე მუშების ჯგუფი შეკრიბოს და დაარსოს მათთვის კურსები, რომ თითეულ მოწინავე მუშას შეეძლოს მომზადოს რომელიმე საკითხი, როგორც არის მაგ. საქართველოს დამოუკიდებლობა, „ინტერნაციონალისტებთან“ სადაო საკითხები და სხვა ასეთები, შეიმუშაოს თითონ თემა და გააკეთოს მოხსენებები, ამიტომ ეს საკითხი გადატანილ იქნეს თფილისის კომიტეტში, რათა ამ უკანასკნელმა მოგვცეს ინტელიგენტური ძალები, კურსების მოსაწყობად. ამავე დროს ყველა ქარხანა-ზავოდებში შესდგეს სია იმ მუშებისა, რომლებიც მოისურვებენ კურსებზე ჩაწერას.

ცენტრალურ კომიტეტთან კავშირის აღდგენის შესახებ ევალება თფილისის კომიტეტში გაარკვიოს ეს საკითხი ამხ. მ. წივწივაძემ, რომ კოლექტივში გადმოდიოდეს მოხსენებები ცენტრალური კომიტეტიდან.

მცირე კომისიის წევრნი აცხადებენ, რომ მათ მოაწყვეს „მირის“ ქარხანაში დისპუტი. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ნ. ათაბეგოვ-ტუმასი, წინააღმდეგ ილაპარაკა „ინტერნაციონალისტებიდან“ დარბინიანმა, რომელსაც პასუხი გასცეს ამხ. ათაბეგოვ-ტუმასმა, ი. ხუციშვილმა, და ოლ. ბაქრაძემ. მცირე კომისიის წევრი ამხ. სარქის ამბარცუმოვი კოლექტივს აცნობს, რომ, ახლად გახსნილ თამბაქოს ქარხანა „სლონში“ გაკეთდა მოხსენება პარტიულ მუშაობის შესახებ, მუშები ჩაეწერენ პარტიის წევრათ და წარმომადგენელიც გამოგზავნეს კოლექტივში.

ამხ. კარაპეტ მელქუმიანცი კოლექტივს აცნობს ქარხანა „მირის“ ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ას ოც და ათ მუშას ემუქრებიან ქუჩაში გაყრით. კოლექტივმა იქონია მსჯელობა ამის შესახებ და დაადგინა: მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ამ მოსალოდნელ ლოკაუტის შესახებ, საკითხი გადატანილ იქნას თფილისის კომიტეტში, და თუ საჭირო იქნეს ჩვენი წარმომადგენელი თან გაჰყვეს შრომის სამინისტროში მუშების მიერ არჩეულ კომისიას. დასასრულ განხილულ იქნა წვრილმანი განცხადებანი.

მდივანი.

—

თფილისი. 24 სექტემბერს შესდგა კრება მეოთხე [illegible]ის ქალთა ორგანიზაციისა. წამოყენებული იყო შემდეგი საკითხები: არჩევნები მცირე კოლექტივის და კანდიდატებისა ქალთა ბიუროში. კრებამ აირჩია მცირე კოლექტივი 7 კაცისაგან და დაადგინა: მიენდოს ქალთა ბიუროში კანდიდატების არჩევა მცირე კოლექტივს.

მდ. ნ. რ—ხა.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

სუფსა. 31 აგვისტოს შესდგა კრება სუფსის რაიონის დურგალ ხელოსნებისა. დაესწრო სულ 25 წევრი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვა: დაარსება სუფსის რაიონის დურგალ-ხელოსანთა პროფესიონალური კავშირისა, რაც ერთხმად გადასწყდა. კავშირში შედიან სუფსის, ჩოხატაურისა და მიქელ-გაბრიელის საზოგადოების დურგალ-ხელოსნები. კავშირის მიზანია: შრომის გაუმჯობესება, კავშირის გაფართოება, საქართველოს პროფესიონალურ კავშირში შესვლა, საერთო ჰირვარამის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და სხვა, კავშირმა აირჩია თავისი პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ მოსე სირაძე, მდივნად ვლასა ღლონტი და მოლარედ რომანოზ ჩხაიძე. აგრეთვე თვითეულ საზოგადოებაში არჩეულ იქნენ სუფსიდან რომანოზ ჩხაიძე, სარდიონ ღლონტი, მოსე სირაძე, ჩოხატაურიდან გიორგი სვანიძე და ვლადიმერ კვაჭანტირაძე, მიქელგაბრიელიდან ფილიპე ჩხაიძე და ქრისტეფორე პოხნელიძე.

არჩეულებმა უნდა იზრუნონ კავშირის გაფართოებაზე, სხვადასხვა კითხვების გაშუქება გადაჰრაზე და სხვ.

კავშირის საზოგადო კრება ხდება ხოლმე პრეზიდიუმის დადგენილებით. კავშირს აქვს თავისი კასა.

თავმჯდომარე სარდიონ ღლონტი.
მდივანი ვლ. ღლონტი.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

დენიკინის აგენტები სვანეთში. როგორც ჩვენი რესპუბლიკის სხვა კუთხეებში, ისე სვანეთშიაც, უხვათ ჰყავს დენიკინს თავისი აგენტები. ესენი არიან ძველი ნასტრაჟნიკალები და თითო-ოროლა კუდაბზიკა პირები. უნდა აღვნიშნო, რომ ეს ბატონები ყოველივე პატიოსანი შრომის უნარს მოკლებულნი არიან და შესტრფიან ისევ ძველ დროს. დადიან წარა-მარა სოფლიდან სოფელში, ნათესავ ნაცნობებთან და ეწევიან პროვოკაციას დენიკინის სასარგებლოთ. ეუბნებიან ხალხს: დენიკინი რომ მოვა, ის ყველაფერს უხვად მოგვიტანს, მაგალითად, ფართალს, შაქარს, პურს და სხვასაო. შეიქნება ისეთი სიიაფე, როგორიც წინეთ იყო; არც მიწის და არც სხვა რაიმე ზეგარას არ გადაგვახდევინებსო და სხვა.

ჩვენი მთავრობის შესახებ, ხალხს უხსნიან, რომ „სოციალ დემოკრატები“ ეკლესიებს ანგრევენ, ხატებს მიაქვთ, ცოლ-ქმრობა არა სწამთ, ყველაფერს ბაჟს ადებენ: მიწას, ხე-ტყეს, სახლს, ფანჯრებს, ლოგინს, ძაღლს, კატას და სხვადასხვ. სარწმუნოება არა სწამთ და ჩვენ ყველა ურიები უნდა გაგვხადონო. მკითხველი იფიქრებს, რომ ასეთი ლაპარაკი, სვანეთში შესაფერ ნაყოფს გამოიღებს. მათდა საუბედუროთ პროვოკაციას ჯერ-ჯერობით ნაყოფი ვერ გამოუღია მათ სასარგებლოთ და ვერც ოდესმე გამოიღებს. სვანეთში, მართალია ხალხის 97 პროც. სრულიად უსწავლელია, მაგრამ მიუხედავათ ამისა გონიერი ხალხია და წარამარა უსაქმო მოხეტიალეებს არაფერს არ დაუჯერებენ. დენიკინის აგენტები სვანეთში ბევრს ვერას გააწყობენ, მაგრამ მათი ალაგმვა სასტიკათ, დაუყონებლივ საჭიროა.

აქვე უნდა აღვნიშნო შემდეგი შემთხვევა: ივლისის შუა რიცხვებში ს. ქურგამში (თერგის ოლქი) შესულან კაზაკების რამდენიმე ასეულს (დენიკინის ჯარიდან), მოუსპიათ რა ყოველგვარი თავისუფლება ხალხისათვის, დაუწყიათ „კაზაკური“,—ყველგან აჩხრიკდნენ და ხვრეტდნენ სოფლის მოწინავე გლეხებს სცემდნენ და აუპატიურებდნენ ქალებს ქმრების წინ, ხმლებით სჩეხავდნენ პატარა ბავშვებს და სხვა. რამდენიმე ახალგაზრდას რიცხვით 21 კაცს რწმენით ბოლშევიკებს, გადაეწყვიტათ რამნაირათ გამოპარულიყვნენ და ჩვენს რესპუბლიკაში შეეფარებინათ თავი. დიდის გაჭირვების შემდეგ საწადელს მიაღწიეს და 15 ივლისს ჩამოვიდნენ ს. მულახში (სვანეთში). ხალხმა მიიღო გაჭირვებული სტუმრები.

მეორე დღეს, 16 ივლისს, მათ უკან მოედევნათ რამოდენიმე კაცი მათი სოფლელები და გამოუცხადეს, რომ დენიკინის ჯარის სარდლობა გთხოულობთ, უნდა წამოხვიდეთო. მათი ადმინისტრაციიდან მოწერილობაც იყო ჩვენს ადმინისტრაციასთან (მათი ბოქაულიდან ჩვენს კომისართან), რომ უკან ვაგზავნით [illegible] გამოქცეულნი. (კომისარმა ლეჩხუმის მაზრის კომისარს გააგებინა ეს ამბავი).

ხალხმა გაითვალისწინა, რომ გამოქცეულებს დენიკინის კაზაკები ყველას დახვრეტდნენ. ისინი არ გაუშვეს მით უმეტეს, რომ ჩვენმა ადმინისტრაციამ გადასწყვიტა დევნილნი თითონ მიეღო.

მუშა სვანი.

— —

ს. ცხრა წყარო. აგვისტოში მოხდა ადგილობრივ მკვიდრთა საერთო კრება. კრების მიზანი იყო სკოლისათვის ადგილის გამოძებნა, ვინაიდან დღემდე ამ სოფელს საკუთარი სკოლის შენობა არ მოეპოვებოდა, და ამაზე არც არავინ ზრუნავდა ქალაქის სიახლოვის გამო. ეხლა კი აუცილებელი შეიქნა საკუთარი შენობის შეძენა, რადგან ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში სოფლელი ბავშვები აღარ მიიღებიან. სწორეთ ამ გარემოებამ გამოაფხიზლა ადგილობრივი მცხოვრებნი და სკოლის შეძენასაც შეუდგენ. ამ მიზნისათვის სოფელმა კიდეც აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაავალა ამ მოკლე ხანში შეიძინოს სკოლის შენობა, რათა მოწაფეებს არ გაუცდეთ 1919—20 წლის სამოსწავლო წელი.

სკოლის შენობისათვის კრებამ აირჩია სოფლის შუაგულში მშვენივრათ მოხდენილი ადგილი, რომელიც ფონდს ეკუთვნის და რომლის შესაძენით კიდეც მიმართეს, არჩეული კომისიის საშვალებით, შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობას, რათა ამ უკანასკნელმა თავის მხრივ აღძრას შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს სოფლის სამართლიანი და აუცილებელი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. უნდა ვიქონიოთ სრული იმედი, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტრო, დადებითად გამოეხმაურება სოფლის ასეთ საშვილი-შვილო გადაწყვეტილებას და საშვალებას მისცემს სოფელს გააკეთოს ეს დიადი საქმე.

გამგონე.

— —

საჩხერის რაიონი.

გაზეთ „ერთობის“ № 190-ში ვინმე „დამსწრე“ ბრალს სდებდა საჩხერის რაიონის კომისარს მახარაძეს. საქმის გამოსარკვევათ შესდგა კომისია, რომელმაც კვლევა ძიების შემდეგ, სადაც იყო დაკითხული 14 მოწამე, რომელთაც აღნიშნულ ინციდენტში მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული, გამოარკვია შემდეგი. მოწმეების ჩვენება არის 10 ფურცლით შემდგარი, დაკითხულია კორესპონდენციაში ნაჩვენები გალახულები ასანიძე და სხვები. გამოძიებამ დაგვარწმუნა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება აღნიშნული წერილი მოგვყავს ცალ-ცალკე ავტორის მიერ მოცემული ბრალდებები: 1. „ვახშამზე ღრიალით და ყვირილით სოფლებს მოსვენება არ ჰქონია ათ მთელ ღამეს“ო—არ არის მართალი, თვით მასპინძელი ლადო კირვალიძე და სხვები ამტკიცებენ, რომ ვახშამი წყნარად ჩატარდა და არავითარ ღრიალს ადგილი არ ჰქონია. 2) „კომისარმა ძალზე ღვინით გალეშილმა მოსთხოვა მცველს, რომ თუ ვინმე უწევს წინააღმდეგობას იქვე მოკლასო“. ესეც არ არის მართალი. თვით ტყის მცველი მიხა კირვალიძე და აგრეთვე მიხა ასანიძე, გალაკტიონ შუკაკიძე და სხვები აჩვენებენ, რომ მახარაძე „გალეშილი“ არ ყოფილა, ის ფხიზელი იყო, არკვევდა ყოველიფერს, ზრდილობიან პასუხს აძლევდა ყოველივეს და სხვა. ტყის მცველი და სხვა მუშებიც არცერთი არ ადასტურებს იმას, ვითომ კომისარს ეთქვას „თუ ვინმე გიწევს წინააღმდეგობას, მოკალიო“. მოწმეები ყველა მას ამბობს, რომ ტყის მცველზე ადრე მივიდა მუშებთან კომისარი და მან დაუწყო შინჯვა მოწმობებს. 3) კომისარმა თვალი მოჰკრა ერთ ახალგაზრდას ბაგ. ზაზაძეს, რომელიც მიდიოდა იქვე წყალ-გაღმა. კომისარმა ამოიღო მაუზერი და ექვსჯერ ისროლა. სროლის დროს 16 წლის ახალგაზრდა მიწაზე დაეცა; ამ დროს მივარდა მას და ცემა დაუწყო. თურმე კომისარს ეგონა, რომ დაპატიმრებული ტყის მუშათაგანი გაექცა. ასე ახალგაზრდა ზაზაძეს უდანაშაულოთ სცემა ძალზე,“

ეს ადგილი კორესპონდენციისა სრულიად არ არის მართალი. თვით ბაგ. ზაზაძე და მასთან მთელი მოწმენი ადასტურებს, რომ ასეთებს ადგილი არ ჰქონია. „გზაზე შეხვდა მიხეილ ასანიძე. კომისარმა ისიც დააკავა და უმიზეზოთ სცემა მაუზერის კონდახით თავში. ხსენებული ასანიძე ეხლაც მწოლიარე ავადმყოფია გალახულობის გამო“. ამ ცნობის სიმართლესაც უარყოფენ სხვები. გარდა ამისა წერილში სწერია, რომ კომისარს ყველა ციხეში ჩაესვას. მოწმობები და თვით დაკავებული პირნი ლაპარაკობენ, რომ ციხეში ჩასვა, ვისაც ტყის ბილეთი არ ჰქონდა და ვისაც სალდათობა ეხებოდათ. კორესპონდენციაში სწერია, რომ ასანიძე თითქო გზაში შეხვედროდეს, თვით ასანიძე და მოწმეები ლაპარაკობენ, რომ [illegible] გზაზე კი არ შეხვედრია კომისარს, არამედ იქ მისულა, საიდანაც იწყება მთელი ინციდენტი. სამწუხაროა, რომ ასეთ მოქალაქეებს, როგორიც აღნიშნული წერილის ავტორია, რედაქცია შეცდომაში შეჰყავს. გამოძიებას ჩვენთან ერთად აწარმოებდა შორაპნის მაზრის ერობის დავალებით ამავე მაზრის ერობის ხმოსანი ექიმი ჰოლოშვილი, რომელმაც ასეთივე დასკვნა გამოიტანა.

საგამომძიებლო კომისიის წევრნი: შალიკო ხვადაბუნელი, არქიფო მეტონიძე.

— —

თელავის მაზრა. კახეთი მრავალი ცრუმორწმუნოების ქვეყანაა. იმის უტყუარ საბუთს „წმ. გიორგის“ დღესასწაული იძლევა. აგვისტოს რიცხვებში ხსენებულ „ხატზე“ მლოცველთა ურმების უთვალავი ქარავანი, მეხრეთა ყვირილი და სახრეთა ტყლაშა-ტყლუში სიღნაღ-თელავის დიდ შოსეზე ერთი კვირის განმავლობაში ქვეყანას აყრუებდა. საერთოდ აქაურ დღეობებს მკითხავები ხელმძღვანელობენ. სალოცავზე ღამისთევების დროს, სადაც ათასობით მლოცველებია, მკითხავები ახდენენ ათას გვარ ფოკუსებს, რასაც ცრუმორწმუნე ხალხი სასწაულთმოქმედებას აწერენ. მაგალითად: აღნიშნულ ღამისთევაში—ერთ დედაკაცს აკვანში მწოლიარე ვაჟიშვილი მოჰპარეს და ნაცვლად მახინჯი—ქალი ჩაუწვინეს. ამ მოვლენას დედა უსიტყვოთ შეურიგდა. მან ეს მკითხავების განმარტებებით „წმ. გიორგის“ სასწაულთ-მოქმედებას მიაწერა, პირჯვრის წერითა და უხვი შესაწირავებით გული იჯერა და კმაყოფილი დაბრუნდა შინ. ამათივე შთაგონებით ხალხს ექიმები ძლიერ ნაკლებათ სწამთ. სუსტი ავადმყოფები, რომლებსაც ესაჭიროებათ სწრაფი საექიმო დახმარება, დღეობებში ხატების სალოცავათ მიჰყავთ და გზაშივე უკვდებათ. მრავალი ჯანსაღი ახალგაზრდებიც რამდენიმე ღამეების გარეთ ხეტიალით ცივდებიან და წუთისოფელს ესალმებიან. მარტო ეს არაა, ასეთი დღეობები კახელ გლეხს ძლიერ ბევრი აქვს. შეიძლება თამამათ ითქვას, რომ კახელი გლეხის შემოსავლის ერთი მესამედი დღეობებზე იხარჯება. ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სამაზრო ერობამ. ხალხში ფართე და ორგანიზაციულ იდეიურ-კულტურული მუშაობით უნდა შთააგონოს ხალხს მკითხავების ოინები.

იგი.

ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲝᲗ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ
კაფე-სარძევე-რესტორანი
„ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐ“
თავის მოწყობილობით, შეიძლება უმოწყობილოთ. მიხეილის პროსპ № 144.

ᲡᲘᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲘᲡᲐ
და საშუალო სასწავლებლის სხვადასხვა კლასებისათვის ამზადებს სახელმწიფო გიმნაზიების მასწავლებელთა ჯგუფი. მისამართი: ელისაბედის ქ., № 142, ბინა სამსონიასი, ანუ ალექსანდროვის ქ., № 45, კორძახია, გველესიანი. სალამოს 4—6 საათამდე. (3—3)

ექიმი ნ. დ. [illegible]
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალურ და საბებიო სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის ექიმი
ე. მ. ზიბაური-მხაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და სალამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ი. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროხეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაანთ შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და სალამოს 5—7 საათამდე.

ექიმი ბესარიონ პაპავა
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი ა. ი. ქუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ სალ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი გ. მ. მუხაძე.
დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს სალამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი დ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ სალამოს 5—7 საათამდე, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი დ. ვ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა [illegible] ავადმყოფებს [illegible] სალამოთი 4—7 ს-დის. ბინა: მიხეილის პროსპ. № 64. ტელეფონი 14—60.

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და სალამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ქალი ა. ს. [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და სალამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ სალამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი მ. შ. [illegible]
ქალისა და საღოსტაქრო ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე სალ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ა. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა Xს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, დარიგებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ა. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიიღება დილით 9—11, სალამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116 ტელ. 14—28.

ექიმი გ. ი. ჯაფარიძე
[illegible] შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავადმყოფებს დილის 12—1½ს. საათ. სალამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ
ს. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის კასის გასაძლიერებლად
კვირას, 28 სექტემბერს
ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ახალ შენობასა და ბაღში,
ყოფილი რუ ების კლუბი, გამართავს
ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐᲡ
ᲡᲐᲚᲐᲛᲝ-ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲗ
შესასვლელი ფასი 10 მანეთი. დასაწყისი სალამოს 7 საათზე.
გამგე კულტ. კომისია. 1—4

შაბათს, 20 ენკენისთვეს, დღის 12 საათზე, თავის მოკვლის განზრახვით მოულოდნელათ გადიმალა საპიორთა ბატალიონის ყოფილი ოფიცერი
ᲐᲠᲡᲔᲜ (ᲢᲣᲠᲐ) ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ
22 წლისა, ნიშნები: მაღალი ტანის, შავგვრემანი, თვალები დაბაკეცული აქვს, ატარებს შავ სათვალეებს, მარცხენა თვალთან ტყვიის ჭრილობა აქვს, ტანს აცვია შავი შარვალი „გალიფე“, ტილოს ხალათი, მნახველთ ვთხოვთ შეგვატყობინონ გუნიბის ქ. № 30, ალ. ვაჩნაძეს. 1—1

კვირას 28 სექტემბერს დილის 11 საათიდან ავჭალის აუდიტორიის შენობაში მოწვეულია მეცხრე და მეათე (9 | 10) უბნის მცხოვრებ ს. ს. დ. მუშათა პარტიის მცირე კოლექტივის
ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ
მოხსენებას გააკეთებს მომენტის შესახებ ალ. ლომთათიძე.
დღის წესრიგი: 1) კოლექტივის მოქმედების ანგარიში, 2) მიმდინარე კითხვები და 3) მცირე კოლექტივის არჩევა. კრება მეორედ არის მოწვეული და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს. 1—1

გამოსულია გასაყიდად
დ. ᲗᲣᲠᲓᲝᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘᲡ
„ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ“
ფასი 5 მან.
წიგნების პარტიობით დაბარება შეიძლება ამ მისამართით: თფილისი, უბანი „ვაკე“, სახლი ლალიშვილისა. დ. ჩხეიძეს. (3—3)

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ
ოპერა ს. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.
23 სექტემბრიდან დაიწყო ჩაწერა 4 სპექტაკლის: 1—აბონიმენტზე: „აბესალომ და ეთერი“, „ფაუსტი“, „აიდა“ და „საბალეტო სპექტაკლი“.
ოპერები დაიდგმება ახალი გეგმით, ახალი დეკორაციებით და კოსტიუმებით საუკეთესო ძალების, ახალი, გაძლიერებული ხოროს და შევსებულ ბალეტის მონაწილეობით. კასა ღიაა დილის 11—2 საათ. და სალ. 6—8 საათამდე. ჩაწერის დროს საჭიროა წარდგენილ იქნეს ბილეთის (აბონიმენტის) ნახევარი ფასი.

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲑᲐᲥᲝᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ
იმ ქართველებს, რომელნიც შარშან სექტემბერს,
ბაქოში დაზარალდნენ და რომელთაც განცხადებანი ბაქოს ქართული ეროვნულ საბჭოს გადასცეს, შეუძლიათ ინგლისელთა საკონტროლო კომისიის მიერ დარიგებული მოწმობანი დაზარალების შესახებ (ეგრედ წოდებული „ჩეკები“) მიიღონ აქ, თფილისში. მოწმობების მიღება შეიძლება ქ. შინ. წ. კ. გამ. საზ. კანცელარიაში შიო დედაბრიშვილთან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 12 დან 2 საათამდე. მოწმობის მიმღებმა უნდა წარადგინოს თავის ვინაობის საბუთი, ხოლო ვინც სხვას მიანდობს მოწმობის მიღებას, უნდა გადასცეს რწმუნების ქაღალდი, შემოწმებული ნოტარიუსის, ადმინისტრაციის, ქალაქის თვითმართველობის, ერობის ან სხვა დაწესებულების მიერ.
3—3 ბაქოს ეროვნული საბჭოს მონდობილობით ილია აგლაძე.

ისწრაფლ მბეჭდავი სტამბა რუხაძის, № 1